პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 48 (1333) 11-17 დეკემბერი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დღეს ნომერში:

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები კობა ლიკლიკაძე და ვახტანგ კომახიძე მივლინებულ იყვნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. გთავაზობთ მათ რეპორტაჟებს სოხუმიდან და ცხინვალიდან.

**ქართველთ ხოცვისთვის გმირად შერაცხული ყაზარდოელი და... ბატონი მარჯანიშვილი**

იხ. მე-3გვ.

„მოერიდეთ მგლებს ანუ...
ამ სამ წერტილში ვინც იგულისხმება მე-5 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში გაეცნობით

# დეპუტატ ირაკლი წერეთლის გამოსვლა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 6 დეკემბერს

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემი დღევანდელი გამოსვლა დაკავშირებულია საქართველოს სრული განთავისუფლების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრობლემებთან. ეს პრობლემები უშუალოდ ეხება ჩვენს დღევანდელ საერთო ეროვნულ სატკივარს, უპირველეს ყოვლისა აფხაზეთში მიმდინარე ომს და ჩვენ პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე მაღალი ეშელონების წინაშე გამოვდივართ პრაქტიკულად განხორციელებადი, უაღრესად კონკრეტული წინადადებების მთელი პაკეტით. ვიდრე გავაცნობდეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ წინადადებებს, გვინდა გულწრფელი გულსიტკივილით აღვნიშნოთ შემდეგი:

არ შეიძლება, როცა ქვეყნის მთელი ტერიტორია არის ოკუპირებული უცხო ქვეყნის ჯარებით, როცა ქვეყნის მთელ რიგ ტერიტორიებზე პრაქტიკულად ვერ ხორციელდება კანონიერი სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი, როცა ქვეყანაში მიმდინარეობს დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომი, კანონიერი, ავტოქტონური მოსახლეობის გენოციდი და რიგი რაიონების ეთნიკური წმენდა, როცა ქვეყანა განიცდის ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს, როცა ერის სრულფასოვან სახელმწიფოდ არსებობის ფუნდამენტის — შეიარაღებული ძალების რიგებში სუფევს განუკითხაობა, ქაოსი და ანარქია და ერთი სიტყვით, როცა ქვეყანა დგას გლობალური დამანგრეველი კატაკლიზმების რეალური საშიშროების წინაშე, პარლამენტმა თავისი მუშაობა არ წარმართოს აღნიშნული მდგომარეობის შესაფერისი განსაკუთრებული წესით და მსგავსი განსაკუთრებული რეჟიმი არ, შექმნას ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ფუნქციონირებაში. პარლამენტმა უკვე მოაგვარა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა მოუგვარებლობას გვერდს ნამდვილად ვერ აუვლიდა. ეს პრობლემები იყო — რეგლამენტის მიღება პარლამენტის მუშაობის შესახებ, დამოკიდებულების განსაზღვრა კონსტიტუციისა და საკანონმდებლო ბაზისისადმი, სახელმწიფო მეთაურის არჩევა, პრემიერ-მინისტრის დამტკიცება და მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება, მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიების განსაზღვრა და მათი თავმჯდომარეების არჩევა. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემათა მოგვარება პარლამენტს. შეეძლო ბევრად უფრო მართებულად და ოპერატიულად. საქართველოს პარლამენტმა თავისი ფუნქციონირების დაწყებიდან დღემდე დიდი ენერგიით იმსჯელა რიგ თავისთავად მნიშვნელოვან და საინტერესო ისეთ საკითხებზე, რომლებზეც შეეძლო ამ ეტაპზე საერთოდ არ ემსჯელა. წმინდა პრაგმატული და გნებავთ მორალური თვალსაზრისით არ გვგონია მაინცდამაინც გამართლებული იყოს საპარლამენტო ვაკხანალიის ატეხა ტელევიზიის ფუნქციონირების წესზე, მაშინ, როდესაც ქვეყანას ომში ასობით მოკლული ჯარისკაცი ყავს და ამასთან ერთად უიარაღო, მშვიდობიანი მოსახლეობიდან ათასობით უდანაშაულო ადამიანი არის დახოცილი. პარლამენტის ასეთი მუშაობა ცოტა არ იყოს იმ ქრისტიან მღვდელმსახურთა მოქმედებას გვაგონებს, რომლებიც რელიგიური ომების ქარცეცხლში დიდი მგზნებარებით დაობდნენ იმ საკითხის გარშემო, თუ მაგალითად რამდენი ანგელოზი დაეტეოდა ნემსის წვერზე ან უარეს შემთხვევაში ნემსის ყუნწში რამდენი ეშმაკი გაძვრებოდა და გაეტეოდა. მე, პირადად, სავსებით ვიზიარებ მწერალ და პარლამენტარ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის პათოსს, რომ მშობელი მიწის შენარჩუნებას, ამ მიწაზე თავისუფლების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებას სამწუხაროდ მსხვერპლი და სისხლი სჭირდება. ამ მკაცრი ლოგიკიდან გამომდინარე, რაგინდ დიდ და მრავალ უბედურებათა შემსწრენი, პანიკასა და აგონიაში არ უნდა ჩავვარდეთ. ეს უბრალოდ შეუფერებელი და სამარცხვინო იქნებოდა ჩვენთვის, როგორც ქართველებისთვის, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მეოცე საუკუნის დამლევს, ადამიანის უფლებების საყოველთაო აღიარების, მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებულ თანასწორუფლებიან ერებად განაწილების ისტორიულ ეპოქაში, როდესაც კაცობრიობამ შეაბიჯა თავისი დემოკრატიული განვითარების ისეთ სტადიაში, რომელშიც შექმნილია და პრაქტიკულად ფუნქციონირებს ნებისმიერი ძალმომრეობისა და უსამართლობის გამალიკვიდირებელი და ალმკვეთი საერთაშორისო სამართლებრივი და სამხედრო-პოლიტიკური მექანიზმები, საქართველოს პარლამენტმა ოლიმპიური სიმშვიდით ადევნოს თვალი ეროვნული ტერიტორიების კარგვის, თანამემამულეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის და საკუთარ მიწა-წყალზე მკვიდრი მოსახლეობის გენოციდის შემზარავ პროცესებს.

თვალყურს ვადევნებთ რა საქართველოს დღევანდელ უმძიმეს მდგომარეობას, არ შეგვიძლია არ გამოვყოთ სამი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ყველაზე მეტად განაპირობებს საქართველოს მძიმე კრიზისულ სიტუაციაში ყოფნას. ეს ფაქტორებია:

1). რუსეთის მიერ საქართველოს სამოცდათერთმეტწლიანი ოკუპაცია, საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ წარმოებული პერმანენტული სამხედრო აგრესია და საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უხეში და განუწყვეტელი ჩარევები.

2) საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლების არაპრინციპული და არათანმიმდევრული, უკიდურესად ლოიალური და ქვეშევრდომული მიდგომა და პოლიტიკა ოკუპაციის, პერმანენტული აგრესიისა და რუსეთის საქართველოსთან იმპერიული დამოკიდებულების ფაქტებისადმი.

3) სახელმწიფო ორგანიზაციის მწვავე დეფიციტი დღევანდელი ქართული სახელმწიფოს — საქართველოს რესპუბლიკის საერთო სახელმწიფოებრივი ყოფიერების უმნიშვნელოვანეს სამთავრობო, პოლიტიკურ და განსაკუთრებით სამხედრო სტრუქტურებში.

მიუხედავად იმისა, რომ სა-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

# ომიდან ყველაფერი სულ სხვანაირად მოსჩანს

**კობა ლიკლიკაძე**

სოხუმში ოთხ დეკემბერს, ნაშუადღევს ჩავფრინდი. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ იმ დღეს პირველად გამოანათა მზემ. კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები კიდევ უფრო აძლიერებდნენ ნათელი დღის ელვარებას. შორიდან მოისმოდა ზღვის ხმაური და ქროდა ნელი სიო. ამ იდილიური სურათის მხილველი ვერც კი იფიქრებდი, რომ აქ, სულ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ფრონტის ხაზია და ერთმანეთის პირისპირ დგანან დაუძინებელ მტრადქცეული წინანდელი მოძმეები.

გამოვემშვიდობე ჯარისკაცებს, რომლებთანაც ერთად ჩამოვფრინდი თბილისიდან. გზა დავულოცე მათ და ერთ-ერთ მათგანს, მეტსახელად „ჩეჩენას" ჩემი სვანური ქუდი ვაჩუქე.

კომენდატურაში ვგებულობ, რომ ქალაქში მიმავალი მანქანა დაიგვიანებს. გადავწყვიტე არ დაველოდო მანქანას და ფეხით მივუყვები ქალაქისაკენ მიმავალ გზას.

პირველი, რაც თვალში მოხვდება სოხუმის აეროდრომში მოხვედრილ ადამიანს, ეს არის აეროვაგზლის ჩანგრეული შენობა, რამდენიმე თვის წინ, დელტოპლანით რომ დაბომბა აფხაზმა ფრინავმა. აეროდრომი ნომერ პირველი ობიექტი და სასიცოცხლო არტერიაა და მას გაძლიერებული ყურადღებით იცავენ ჩვენი ჯარისკაცები.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ პიკეტთან მიაჩერებენ. გვარდიელის ფორმიანი ახალგაზრდა, დოკუმენტებს მისინჯავს და თავაზიანად მაფრთხილებს — სოხუმში საჰაერო განგაშია გამოცხადებული და სჯობს აქ დაველოდო მანქანას. მათგან ვგებულობ, რომ გუდაუთიდან გამოფრენილი რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები, რომლებსაც რუსი პილოტები მართავენ, საკმაოდ ხშირი სტუმარია. ჯარისკაცები მეკითხებიან, რა ხდება თბილისში და კიდევ „ჭამენ" თუ არა ერთმანეთს პარლამენტის წევრები, რაზეც მე მხრების აჩეჩვით ვპასუხობ და ჩემი მხრით ვეკითხები, თუ რა ხდება ოჩამჩირეში, კოჩარასა და ტამიშში. ისინი მპასუხობენ, რომ გია ყარყარაშვილის ჩამოსვლის შემდგომ მდგომარეობა ჩვენს სასიკეთოდ შეიცვალა და ახლა უკვე ოჩამჩირე — სოხუმის სამანქანო გზა მთლიანად გახსნილია.

ცოტა ხანში ავტობუსიც გამოჩნდა და სოხუმისკენ მივდივარ. ფანჯარაში ვიმზირები. გზის ორივე მხარეს ლამაზი ეზოები მოსჩანს. მანდარინის დაუკრეფავი ბაღები თვალს იტაცებენ.. გადამხმარი ყანები ზოგან ისევ აუჩალავია. მათთვის არავის სცალია. სახლებიდან იშვიათად ამოდის კვამლი. ყველგან იგრძნობა ომის სასტიკი ხელი. გავიარეთ დრანდის საგუშაგო. ვფიქრობ და ვიხსენებ იმ დროს, როცა პირველად ჩამოვედი სოხუმში და ვნახე ნამღვილი ზღვა.

მახსენდება ჩემი ჯარის მეგობარი საშა გვიგვისკირი, საოცრად მხიარული აფხაზი ყმაწვილი, მთელი ბატალიონის სული და გული, სიყვარულით „წითელ ეშმაკუნას" რომ ვეძახდით მწითური შესახედაობის გამო. სად არის ნეტავ ახლა? ნუთუ მასაც იარაღი უჭირავს ქართველების წინააღმდეგ, ის ხომ ტანკისტი იყო, ჩინებული მექანიკოსი, რომელიც გარენიჩის ტანკოდრომზე ვირტუოზულად აფრენდა ვეება ტანკს. ნუთუ შესაძლებელია, რომ იგი ორმოცტონიანი ტანკით ახლა ქართველების დასანგრევად და გასანადგურებლად მოდიოდეს და ტონიან ჭურვებს უშენდეს სოფლებსა და ქალაქებს? ალბათ ჩემსავით ისიც ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ მდგარი ერთ-ერთი ჯარისკაცი მე ვარ.. საოცარია, ჟურნალისტი რომ არ ვიყო და კალმის ნაცვლად იარაღი მეპყრას ხელთ, და მე და ის, საშა გვიგვისკირი, ბრძოლის ველზე ერთმანეთს შევეჩეხოთ — ნუთუ ვესვრით ერთმანეთს და ხელი არ აგვიკანკალდება? მახსენდება ზამთრის გრძელ ღამეებში კიევში ამანათით მიღებული ჭაჭის არყით რამდენჯერ გვითქვამს აფხაზეთის და საქართველოს სადღეგრძელო, ჩვენი სიყვარულისა და ძმობის სადიდებელი. ნუთუ მაშინ ჩვენ ვტყუოდით და გულში სიძულვილს ვმალავდით ერთურთის მიმართ?

ფიქრს მძლავრი აფეთქებების ხმა მაწყვეტინებს. უჩვეულო შიშის გამო თავს ვლუნავ და თვალებს ვხუჭავ. ზურგს უკან სიცილი მესმის. თავს ვწევ და ნირწამხდარი ვიღიმები. ჩემს უკან მსხდომი ჯარისკაცები საქმიანად, დიდი აპლომბით დაობენ საარტილერიო ჭურვი იყო, თუ რაკეტა ისროლეს.

კელასურში ვართ. ავტობუსი სვლას ანელებს და მე ვხედავ ალმოდებულ სახლებს. ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდები ცაში იცქირებიან. გამოველაპარაკე მათ და გავიგე, რომ ათი წუთის წინ, რუსეთის ორ სამხედრო თვითმფრინავს დაუბომბავს ეს საცხოვრებელი სახლები და გუდაუთისკენ გაფრენილან. არის სამი დაჭრილი, სამივე რუსი ეროვნებისა. ერთ ქალს ნამსხვრევმა ხელები მოაგლიჯა. ვგრძნობ თბილისიდან წამოყოლილი რიხიანი განწყობილება ნელ-ნელა როგორ მტოვებს.

* * *

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების მთავარ შტაბში საომარი მოქმედების წარმმართველი და მაკოორდინირებელია. მას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა ამ ომში. აქ წყდება როგორც თითოეული ჯარისკაცის, ისე მთელი ომის ბედი. მთავრი შტაბის ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული ჩვენი საჯარისო შენაერთების ბრძოლისუნარიანობა. ეს უდიდესი სამხედრო ორგანიზმი მთელი დატვირთვით მუშაობს. მასში, ისევე როგორც ნიჟარაში ზღვის ხმაური, მთელი ომის სუნთქვა ისმის; ეზოში დიდძალი მძიმე ტექნიკა დგას, წამდაუწუმ შერბიან და გამორბიან შეიარაღებული სამხედრო პირები, მისასვლელი გზები ბლოკირებულია და გულდასმით ისინჯება.

თუ მთავარი შტაბი ომის მამოძრავებელი გული და გონებაა, პრეს-ცენტრი შტაბის თვალი და ყურია. აქ იკრიბება ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობები საბრძოლო მოქმედების ადგილებიდან, იწურება, ზუსტდება და საქართველოსა და საზღვრებს გარეთ ვრცელდება.

* * *

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრეს-ცენტრში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მეორე ფრონტია გახსნილი პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი სოსო მარგიშვილი და ჩემი კოლეგა თენგიზ პაჭკორია დღეში ათჯერ და ოცჯერ ღებულობენ და გადასცემენ ინფორმაციებს სხვადასხვა ტელესააგენტოებს. ოცი და ოცდაათი არ არის დიდი რიცხვი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ გამართულად მუშაობს ჩვენი კავშირგაბმულობა, ომზე რომ არაფერი ვთქვათ, მშვიდობიანობის დროს — მაშინ ცხადი გახდება ის ჯოჯოხეთური ძალისხმევა, რაც ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული.

ბატონმა სოსო მარგიშვილმა გულთბილად მიმიღო, დახმარება აღმითქვა და გამაფრთხილა, რომ მაქსიმალურად დავიცვა საომარი მდგომარეობით გათვალისწინებული წესები ინფორმაციის გადაცემის დროს. ამგვარი სიფრთხილე სრულიად ჩვეულებრივი რამ გახლავთ ომის დროს. თანაც აგვისტო — სექტემბერში ხშირად ხდებოდა, რომ, უნებლიედ, ჩვენი ჟურნალისტები მეტად ძვირფას ცნობებს აწვდიდნენ მოწინააღმდეგეს ქართული სამხედრო ნაწილების რაოდენობის, ადგილმდებარეობისა და შეიარაღების შესახებ.

**— სენსაციებს გამოდევნებული ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტი არად აგდებს სამხედრო ცენზურას და ცდილობს ჩვენი გვერდის ავლით, ჩვენთან შეუთანხმებლად მიაწოდოს ინფორმაცია მასობრივ საშუალებებს.** ზოგგან მოქმედებს ფსევდო პრესცენტრებიც კი. არადა, არსებობს მთავარი შტაბის უფროსის, ბრიგადის გენერალ პაატა დათუაშვილის ბრძანება, რომელიც მთავარი შტაბის პრესცენტრის ნებართვის გარეშე კრძალავს ყოველგვარი ვიდეოფოტომასალის გადაცემას თბილისსა და სხვა ქალაქების ტელე-ცენტრებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებისადმი. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ვერ მივაღწევთ კონდიციას, ისევ და ისევ ზოგიერთი ჩვენი კოლეგის თვითნებობის გამო. — გულისტკივილს მიზიარებს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი.

მე ვთხოვე ბატონ სოსოს შევეხვედრებინე გენერალ პაატა დათუაშვილთან. მან მომიგო, რომ შტაბის მეთაური არ ღებულობს ჟურნალისტებს, რადგან მიაჩნია, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო პირისაგან ეს გაუმართლებელია.

შტაბში შევიტყვე, რომ იმავე დღეს რუსეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა ოჩამჩირეშიც დაბომბა აეროდრომი და სამხედრო შტაბის მიმდებარე ტერიტორია, რის თაობაზეც საპროტესტო წერილი დაუყოვნებლივ გაეგზავნა რუსეთის ხელმძღვანელობას.

შებინდებული იყო, როდესაც ბატონ სოსო მარგიშვილს გამოვემშვიდობე და მისივე დახმარებით სახელმწიფო აგარაკებისაკენ გავეშურე, სადაც აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას შტაბ-ბინა იმყოფება.

* * *

სოხუმში, ზღვის ნაპირას, მაღალ მთაზე, თეთრი გედივით მოჩანს ლამაზი კოტეჯი, რომელსაც სტალინის სახლს უწოდებენ. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ამ სახლში სტალინი მხოლოდ ერთხელ, გავლით ყოფილა და ღამეც კი არ გაუთენებია, მაგრამ ბელადის სიყვარულით მთვრალმა ხალხმა მაინც სტალინის სახელი უწოდა. ასეთი დასასვენებელი სახლებით მოფენილი იყო საბჭოთა იმპერიის ყველა კუთხე-კუნჭული. მარტო საქართველოში რამდენიმე დასასვენებელი სახლია, რომელსაც სტალინის სახელი ჰქვია და „ხალხთა მამას" ერთი ღამეც კი არ გაუთევია თავისი ასკეტური ცხოვრების წესის გამო. უფრო სწორად, სახელად იყო მისი და სახრავად სხვისი. ზემოაღნიშნულ აგარაკზე განსაკუთრებით მიქოიანსა და სუსლოვს ჰყვარებიათ დასვენება სახელმწიფო საქმეთაგან. ვერაფერს იტყვი, საბჭოთა იმპერიის მესვეურები, რომლებიც ხალხს დღენიადაგ სოციალურ სამართლიანობაზე ჩასჩიჩინებდნენ, თავად როდი თაკილობდნენ მეფურ განცხრომას, როდესაც ხალხს უჭირდა.

სტალინის სახლში დღეს აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ხაინდრავას შტაბ-ბინა მდებარეობს და იმ ოთახებში, სადაც ყოფილა იმპერიის საჭეთმპყრობელთა ჩათქვირებული ცოლ-შვილი ნებივრობდა — ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მეცხრე განყოფილების მებრძოლები ისვენებენ. აქ ვხვდები გოგა გიორგობიანს, საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდა დიქტორს, რომელთა ერთადაც ჩამოვფრინდი თბილისიდან. ნოდარ ბაჩუკაშვილი, მეცხრე განყოფილების წევრი, ბატონი გ. ხაინდრავას სამუშაო ოთახისაკენ მიმიძღვის.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში უამრავი ხალხია თავმოყრილი. ვგრძნობ, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე საუბრობენ, წინ სამხედრო რუქა აქვთ გაშლილი. ბატონი გ. ხაინდრავა საოცრად გამოცვლილი და ასაკმომატებული მეჩვენა. ის პასუხისმგებლობა, რომელიც მას რამდენიმე თვის წინ დაეკისრა, უამრავ ენერგიასა და ტიტანურ შრომას მოითხოვს — გ. ხაინდრავა ერთგვარი მაკოორდინებელი რგოლია საქართველოს ხელისუფლებასა და ახლადშექმნილ აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტს შორის.

მინისტრი თავაზიანად მესალმება და მთანხმდება ინტერვიუზე, როგორც კი თათბირს მორჩება. მანამდე ჩემი მასპინძლები მეცხრე განყოფილების მებრძოლები გულბაათ ალავიძე, ავთო სხირტლაძე და ნოდარ ბაჩუკაშვილი არიან. ჩაითა და ცივი მჭადით მიმასპინძლდებიან და თავისას მიამბობენ. ისინი 20—22 წლის მთაწმინდელი ბიჭები არიან, ბავშვობის მეგობრები და თანშეზრდილები. უკვე მეოთხე თვეა იარაღით ხელში იცავენ სამშობლოს. მებრძოლები დიდ პატივს სცემენ გიორგი ხაინდრავას, რომელიც მათთან ერთად არის ჭირსა და ლხინში. მათთან ერთად მონაწილეობდა ბრძოლებში კამანთან, ტამიშთან, შრომასთან, ახალშენთან, კოჩორასთან, არადუსა და მურკულაში. ბიჭები ჰყვებიან ერთად გატარებულ წუთებზე და მე მახსენდება გაგრის ტრაგედიის შემდგომ ზოგიერთი მებრძოლის ნაამბობი, რომლებიც ერთ-ერთ უპირველეს მიზეზად გაგრაში დამარცხებისა თვლიდნენ იმ ფაქტს, რომ მეთაური სათოფეზე არ ეკარებოდა თავის ხელქვეითებს.

საუბარში დრო ნელ-ნელა მიიპარება და როდესაც გ. ხაინდრავასთან ინტერვიუზე მივდივარ უკვე ღამის პირველი საათია.

* * *

დეკემბრის დამდეგს განახლდა ბრძოლები ტყვარჩელის მიმართულებით. მთელი საქართველოს ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი. ინფორმაციები, რომლებიც ბრძოლის ველიდან მოდიოდა, ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, განსაკუთრებით სოფელ კოჩარასთან დაკავშირებით სუფევდა დიდი გაუგებრობა. ერთი ინფორმაციით კოჩარა ჩვენი ჯარების ხელში იყო, სხვა ინფორმაციით აფხაზების ხელში, რომლებმაც აქ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამწუხაროდ, მეორე ინფორმაცია აღმოჩნდა სწორი.

გენერალ გია ყარყარაშვილის ბრიგადის ჩამოსვლის შემდგომ, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდმასშტაბიანი ოპერაციები განახორციელეს ტყვარჩელის მიმართულებით, რის შედეგადაც სოხუმი— ოჩამჩირეს სამანქანო გზა გაიხსნა.

საერთოდ აფხაზეთში განლაგებულ ყველა სახეობის ჯარებში გია ყარყარაშვილის სახელს საოცარი სიყვარულითა და სიამაყით წარმოთქვამენ. 26 წლის ახალგაზრდა გენერალი განსაკუთრებით ომით დაზაფრული მოსახლეობის იმედია. ერთმა კინდღელმა კაცმა ისიც კი მითხრა, რომ გია ყარყარაშვილის გამოჩენით ფრთაშესხმულნი ხვალ სკოლაში სწავლას ვიწყებთო. კინდღა თითქმის ფრონტისპირა სოფელია და უშუალოდ ესაზღვრება ჩვენთვის კარგად ნაცნობ აფხაზურ სოფელ ტამიშს.

აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრის გ. ხაინდრავას საუბრიდან: „ეს ოპერაცია მთლიანად ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო გიორგი ყარყარაშვილის მიერ, ამ ბრძოლაში, რამდენადაც ვიცი, განსაკუთრებით ისახელა თავი თეთრი გიორგის ასეულმა, რომელიც ყველაზე უფრო სახიფათო და საპასუხისმგებლო უბნებზე მოქმედებდა. საერთოდ ეს გახლდათ ძალზე საჭირო სამხედრო ოპერაცია, რომელშიც, მეტნაკლებად ყველა მებრძოლმა გამოიჩინა თავი.

მე შესაძლებლობა მქონდა თვალ-ყური მედევნებინა ამ ბრძოლისათვის და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი გიას სამხე-



დრო ნიჭში. ძალზე რთული ოპერაცია იყო. მოწინააღმდეგე გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ მებრძოლებმა შეასრულეს დასახული ამოცანა: გაიხსნა სოხუმ-ოჩამჩირეს გზა, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

მსგავსი ოპერაცია კიდევ იმითაა ფასეული, რომ იგი აამაღლებს ქართველ მებრძოლთა განწყობილებას და საბრძოლო სულისკვეთებას და მოსახლეობასაც იმედიანად განაწყობს, რომ ჩვენს საჯარისო შენაერთებს შესწევთ უნარი ვაჟკაცური ბრძოლისა."

მთავარი სამხედრო შტაბის პრეს-ცენტრში ვნახე ჩვენი ჯარისკაცების მიერ აღებული აფხაზთა ვეებერთელა წრიული სანგარი, რომელიც ისეთი გულმოდგინებით იყო გათხრილი და თანაც ისე მოხერხებულ ადგილზე მდებარეობდა, რომ კარგად შეიარაღებული ათი კაცი მთელ ბატალიონს შეაჩერებდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აფხაზები საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი და ყოველი გოჯი მიწისთვის გააფთრებით იბრძვიან. მათ ძალზე კარგად აქვთ შეთვისებული პარტიზანული ბრძოლის მეთოდები, რაშიც, უსათუოდ რუსი სამხედრო ინსტრუქტორები ეხმარებიან. საერთოდ, ქართველ-აფხაზთა ომის როგორც წამოწყებაში, ისე მიმდინარეობაში რუსეთს დიდი წვლილი მიუძღვის. იგი უკვე აშკარად მოქმედებს ამ ომში ჩვენს წინააღმდეგ, რაც არაერთხელ დადასტურდა. კელასურისა და ოჩამჩირეს დაბომბვასთან დაკავშირებით მე გავეცანი ბატონ გ. ხაინდრავას საპროტესტო წერილს რუსეთის ხელისუფლებისადმი. ასეთი საპროტესტო წერილები მანამდეც არაერთგზის გაგზავნილა. საინტერესოა, როგორ რეაგირებს რუსეთის ხელისუფლება მსგავს განცხადებებზე, ვეკითხები მინისტრს.

გ. ხაინდრავა: „— არანაირად არ რეაგირებს, იგი გვეომება. საერთოდ, ის რაც აფხაზეში ხდება, მეტწილად რეაქციული რუსეთის ხელშეწყობითაა გამოწვეული და მის ინტერესებს ემსახურება. მე ყოველთვის თავს ვიკავებდი მკვეთრი და ცალსახა შეფასებისაგან, რამეთუ მესმის, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის რუსეთთან კონფრონტაცია, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

ოჩამჩირეს დაბომბვამ მოთმინების ფიალა აავსო. რუსეთის მხარე აქამდე იმას იმიზეზებდა, რომ თქვენგან გამოსროლილი ჭურვები ჩვენს ტერიტორიაზე ფეთქდებაო. საინტერესოა, ახლა რას იტყვის? რა შუაშია ოჩამჩირე? ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტმა და ხელისუფლებამ თავისი დამოკიდებულება უნდა გამოხატონ."

* * *

როგორც ჩანს რუსეთის რეაქციული წრეების დაინტერესება იმდენად ძლიერია ამ ომში, რომ თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლესაც აღარ დაგიდევენ. მე ზემოთ ვთქვი, რომ კელასურის დაბომბვის დროს დაიჭრა სამი რუსი ეროვნების ადამიანი. როგორც მთავარ შტაბში შევიტყვე, აგვისტოდან მოყოლებული, რუსეთის ავიაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად დაიჭრა 30 რუსი ეროვნების მოქალაქე, 10 დაიღუპა. რუსეთის ტელევიზია და პრესა აფხაზეთის ომზე საუბრის დროს თითქმის ყოველთვის ქართულ მხარეს ადანაშაულებს. ამ დროს მათი ავიაციის მიერ ჩამოყრილი ბომბები დასახლებულ უბნებში სკდებიან. სოხუმში ყოფნისას შევიტყვე, რომ ბაზრის დაბომბვის დროს დაღუპული ერთ-ერთი მოქალაქის გოგონა მზრუნველობის ქვეშ აიყვანა გიორგი ხაინდრავამ.

გ. ხაინდრავა: „ჩვენ ყველანი დავეხმარეთ ბავშვს. ეს არის იმ ადამიანების ქველმოქმედება, რომლებიც იბრძვიან კიდეც და არც მოყვასს ივიწყებენ; მზად არიან ლუკმა-პური გაუყონ ომით გაუბედურებულ ადამიანებს. საერთოდ ჩვენი წარუმატებლობების მიზეზი ის არის, რომ ერთმანეთში ვეძებთ მხოლოდ ნაკლს, ხადაოს და არა ღირსებასა და სიკეთეს. არა და რამდენი ლამაზი და კეთილშობილური თვისებაა ჩვენში. ბოროტი ძალის დამარცხება მხოლოდ თანხმობით, მიტევებით, სიყვარულით და თანადგომით შეიძლება.

ჩვენ გადავეჩვიეთ სულიერ სიყვარულს, დავკარგეთ რწმენა და ეს არის მიზეზთა მიზეზი საქართველოს მძიმე მდგომარეობისა.

ჩვენ კარგი საქმეებით თავის მოწონება გვიყვარს, შრომა კი ნაკლებად. საქმეს კეთება უნდა და არა ლაპარაკი. ჩემი ნება რომ იყოს, ქართველ ხალხს ცოტა ხნით ლაპარაკის უნარს წავართმევდი.!

* * *

გუდაუთაში დაბანაკებულ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები არ მალავენ, რომ განზრახული აქვთ საახალწლოდ სოხუმის აღება. აფხაზებს ომი რომ შეუძლიათ და ეს მარტოოდენ კვეხნა არ არის, ეს ცხადია, მაგრამ ამგვარი განცხადება მაინც ცარიელი ვაზნის გასროლას ჰგავს, რომელსაც ხალხის დაშინება აქვს მიზნად. რამდენადაც ჟურნალისტის დაკვირვებით შემიძლია ვიმსჯელო, სოხუმში განლაგებული ჩვენი ჯარები საკმაოდ კარგად არიან შეიარაღებულნი და იმის ძალა და უნარიც შესწევთ, რომ მტერს საკადრისი მიუზღვან.

ომის მიუხედავად, თითქმის დაცარიელებული და ვეებერთელა სამხედრო ბანაკს დამსგავსებული სოხუმი ცხოვრებას განაგრძობს, ყოველწუთიერი საფრთხის მიუხედავად ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა არ ტოვებს სახლ-კარს და, რამდენადაც ვიცი, ადრე გახიზნული სოხუმელებიც ნელ-ნელა უბრუნდებიან ქალაქს.

ახალი სამთავრობო სტრუქტურების შექმნამ და მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სოხუმის ცხოვრებაში: მუშაობს სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე საწარმო, გამოდის ადგილობრივი ქართული გაზეთები „აფხაზეთის ხმა" და „ჰოროლი", აღსდგა სწავლა ზოგიერთ სკოლაში, გამოჩნდა საზოგადოებრივი ტრანსპორტიც. დიდი გაჭირვებით, მაგრამ ცხვება პურიც, მოქმედებს საკოლმეურნეო ბაზარი...

მე, ბუნებრივია, აზრადაც არა მაქვს გადაჭარბებით შევაფასო ახლადშექმნილი სამინისტროს მუშაობა, მაგრამ ის, რაც კეთდება ამ ომის პირობებში, შესაძლებლობის მაქსიმუმია და მისი დაუნახაობა უმადურებაა.

რაც შეეხება მოსახლეობის განწყობილებას, იგი უმეტესწილად სკეპტიკურია. გაგრის ტრაგედიის შემდგომ, მათ აღარ სჯერათ, რომ კვლავ ღალატის მსგავსი რამ არ მოხდება და სოხუსაც ისეთივე ბედი არ ელის, როგორც გაგრას. საპირისპიროში მათი დარწმუნება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ისინი არ დაინახავენ რეალურ გამარჯვებებს. თბილისში გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, თითქოს თავად აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ომში არ მონაწილეობდეს. ხოლო სოხუმში ამბობენ, რომ თბილისში არც იგრძნობა თუ საქართველოში ომია.

გ. ხაინდრავა: „მე არაერთხელ აღვნიშნე, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული ამ ომის მნიშვნელობა. არადა, დღეს საქართველოში ნამდვილი სამამულო ომია და ეს არ იგრძნობა. არ იგრძნობა იმიტომ, რომ ბევრს სხვისი ჭირი ღობეს ჩხირად მიაჩნია. სანამ პირადად არ ეწვევა გასაჭირი კაცს, მანამ სხვისი ტკივილი არ სტკივა. აფხაზეთში მცხოვრები ბევრი ქართველი მანამ თვლიდა, რომ ომი მათ არ ეხება, სანამ სახლ-კარი არ გადაუწვეს და ნათესავი არ მოუკლეს. ზოგჯერ უკადრის გარიგებებსაც ჰქონდა ადგილი. ასე რომ, არხეინი დამოკიდებულება საბრძოლო რეგიონში არსებობს და რაღა გასაკვირია, რომ იგივე დამოკიდებულება თბილისშიც იყოს.

ავიღოთ მაგალითად კოჩარა, რომლის შესახებ დიდი ამბები ატყდა. რაც კოჩარაში მოხდა, აფხაზეთის ომის მსვლელობის დროს სხვაგანაც მოხდა, მაგრამ სანამ თავად მათ არ გადაუწვეს სახლ-კარი, მანამდე ვერა და ვერ ამოქმედდნენ."

— გუშინ, როდესაც თქვენ ტამიშთან იბრძოდით, პარლამენტში თქვენს შესახებ იყო საუბარი — კრიტიკულიცა და დადებითიც. როგორ აღიქვით ეს ფაქტი?

გ. ხაინდრავა: „რაც შეეხება პარლამენტში ჩემი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს. მე მადლობელი ვარ მათი, ვინც თავისი დამოკიდებულება გულწრფელად გამოხატა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მაინც ეს მაინც ერთგვარ სპექტაკლს წააგავდა. მე არავის დაცვა არ მჭირდება, რადგან რასაც ვაკეთებ, ყველაფერს დაუფარავად ვაკეთებ და მზად ვარ ანგარიში ჩავაბარო ჩემს მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯზე ჩვენს ხალხს.

მე არავითარი პრეტენზია არა მაქვს თანამდებობაზე. მრავალჯერ მითქვამს და ვიმეორებ — ეს არის პირველი და უკანასკნელი სახელმწიფო პოსტი და იგი ნელ-ნელა უახლოვდება დასასრულს. მაგრამ სანამ ვიქნები, ბოლომდე შევასრულებ ჩემს მოვალეობას, მოსწონთ თუ არა ეს გარკვეულ წრეებს. საქმეებით ვეპაექროთ ერთმანეთს და არა სიტყვებით."

* * *

თუ ომის დასაწყისში ჩვენი საჯარისო ნაწილები ღვთის ანაბარა, თითქმის უსმელ-უჭმელი იყვნენ ბრძოლის ველზე, რაც დიდ თავსატეხს უჩენდა მშვიდობიან მოსახლეობას, ამჟამად ჯარისკაცთა კვება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სოხუმში ყოფნისას მე რამდენიმე ადგილას ჯარისკაცების სასადილოებში ვისადილე და თავად დავრწმუნდი, ამაში. სამწუხაროდ, ცხელი საჭმელის ნაკლებობას განიცდიან უშუალოდ ფრონტის ხაზზე მდ. გუმისთასთან და ოჩამჩირის რეგიონში განლაგებული ჯარისკაცები, მაგრამ ე.წ. მშრალი საჭმელი არც მათ აქვთ საძებარი. ყველაზე უფრო მეტად ჯარისკაცებს მაინც უწყლობა და უსინათლობა აწუხებთ, რომ არაფერი ვთქვათ სულიერი პურის უქონლობაზე.

აქილევსის ქუსლი ჩვენი სამხედრო ნაწილებისა, მაინც უდისციპლინობა და ერთიანი ხელმძღვანელობისადმი გაუცხოების გრძნობაა. თავად ჯარისკაცებისაგან გამიგია და ვიცი, რომ ამგვარ უდისციპლინობას უამრავი მსხვერპლი მოჰყვა ბრძოლის ველზე.

ძალიან დაბალია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ხვედრითი წილი, კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კავშირი. ერთი სიტყვით, საკრიტიკო ძალიან ბევრია ჩვენ საჯარისო ფორმირებათა ცხოვრებაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ჯარი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია და იგი ისეთივეა, როგორიც ჩვენი საზოგადოება. ნუ დაგვავიწყდება, რომ თავად უძლიერესი წითელი არმია, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს, ბრძოლის ველზე იშვა. ქართული ჯარი არაფრით არ არის იმ საზოგადოებაზე უარესი, რომლის პირმშოც არის. ჯარისკაცები ხშირად მსაყვედურობდნენ: „თქვენ უწესრიგობასა და უდისციპლინობაზე ლაპარაკობათ ბრძოლის ველზე, მაგრამ გავიწყდებათ, რომ ამაზე უარესი ხდება ზურგში. ომს მარტო ფრონტი არ იგებს. ომში გამარჯვებას ძლიერი ზურგი ესაჭიროება. გულახდილად თქვით, ბევრი იქცევა თუ არა ზურგში ხალხი, როგორც საომარი მდგომარეობა მოითხოვს?..."

ინფორმაცია განსჯისათვის: 5 დეკემბერს, ღამით, სოხუმის აეროდრომში, თეთრი არწივის მებრძოლებმა, რომლებიც გენერალ გ. ყარყარაშვილის ბრძანებით აკონტროლებენ ობიექტს, დააკავეს სოხუმის ერთ-ერთი რაიონის პროკურორის მოადგილე. მას მოსკოვში გაჰქონდა შუასაუკუნეების ქართული ხატი.

* * *

თბილისისკენ მომავალმა, აეროპორტში გავიცანი სოხუმის თეთრი არწივის ბატალიონის მებრძოლები კობა ციყელაშვილი, ნოდარ ყაველაშვილი, ხვიჩა ბულულაშვილი, კახა დიხამინჯია, დათო ბარამიძე და ნუგზარ ლოლაძე. მართლა არწივივით ფრთაგაშლილი და შემართული მებრძოლების გვერდით გატარებული წუთები დაუვიწყარ მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. არ დარჩენილა აფხაზეთში მეტნაკლებად სერიოზული ბრძოლა, რომელშიც მათ მონაწილეობა არ ჰქონდეთ მიღებული. გაგრიდან მოყოლებული დღემდე მათ ხელიდან იარაღი არ გაუგდიათ, თბილ ლოგინზე არ უძინიათ. უიარაღოდ, როგორც ნამდვილ მებრძოლებს შეჰფერით, ორი დღით ბრუნდებიან თბილისში, რათა თავიანთი მეთაური ვეფხია პარკაია ინახულონ საავადმყოფოში. ტამიშთან გამართულ ბრძოლაში ტყვიებით დაცხრილული მეთაური ცეცხლის ალიდან გამოიყვანეს ბიჭებმა.

მთელი ღამე გავათიეთ აეროდრომის ფანჯრებჩალეწილ შენობაში. მთელი ღამის განმავლობაში მიამბობდნენ ბიჭები გადახდილი ბრძოლების შესახებ. ვფიქრობ, ჯერ არ დამდგარა დრო მათი ნაამბობი მოვუთხრო მკითხველს. თავადაც მთხოვეს ახალი წლის კვირაძალზე არ დავუმძიმო ისედაც მძიმე განწყობილება ზურგში დარჩენილ მათ ნათესავებსა და ახლობლებს, საერთოდ, ქართველ ხალხს. სოხუმის თეთრი არწივის მებრძოლეების ნაამბობიდან მკითხველს მხოლოდ პატარა ნაწილს შევთავაზებ, რომელმაც მე პირადად ბევრ რამეზე ამიხილა თვალი.

— ჩვენ პირველი დღეებიდანვე ვიბრძვით აფხაზეთში საქართველოს თავისუფლებისათვის, ამ ხნის განმავლობაში ბევრი ვნახეთ და გადავიტანეთ, ზოგიერთის ოჯახში ჩვენი დაღუპვის ცნობაც მიიტანეს. იმ დროს, როდესაც ჩვენ აქ სისხლს ვღვრით, ზურგში ათასნაირ ჭორებს გვივრცელებენ და სახელს გვიტეხენ. პირდაპირ კეფა გვიხურს. ისე მოგვბეზრდა ეს უსამართლო ბრალდებები, რომ ხანდახან ვფიქრებთ ხოლმე, ვისი გულისთვის ვიკლავთ თავს. რომ არა გია ყარყარაშვილი, რომელიც პირადი თავდადების მაგალითით ყოველთვის გვამხნევებს, ალბათ, ყველაფერზე ხელს ჩავიქნევდით. გაიგოს ყველამ, რომ თეთრი არწივი მძორს არ ეტანება...

* * *

გაოფრინავთ. სამხედრო ვერტმფრენში მებრძოლებს შორის მჯდომი ვიხსენებ ნახულსა და განცდილს, ვაკვირდები მეომრების ბრძოლით დაღლილ სახეებს და ვხვდები, რომ ომიდან ყველაფერი სხვანაირად მოსჩანს, ვიდრე ჩვენი ფანტაზიით წარმოგვიდგენია...

აქ ყოველ ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული, რომელთან შეხვედრებულ ბიჭებს შესაძლოა ღალატობდეთ ნერვები, მაგრამ კაცობა — არასოდეს. მახსენდება, როგორ ეხვეწებოდა აეროდრომის შენობაში თოთობავშვიან ქალს კობა ციყელაშვილი: უჩქიტე, აატირე, ბავშვის ტირილი მომენატრაო...

აფხაზეთში დღეს ომია, სასტიკი და ულმობელი ომი. ამ ომში საქართველო ღმერთისა და იმ ბიჭების იმედად არის, რომლებსაც არაერთხელ ვატკინეთ გულები.

ჯარისკაცს არ სჭირდება შებრალება, მას გაფრთხილება და სიყვარული სჭირდება.

საქართველო, გიყვარდეს შენი მებრძოლები.

სოხუმი — თბილისი ,

# ქართველთ ხოცვისათვის გმირად შერაცხული ყაბარდოელი და ბატონი მარჯანიშვილი

1992 წლის 2 ოქტომბერს ყაბარდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფმა ნალჩიკში, იარაღის უნებართვოდ ტარების ბრალდებით დააპატიმრა ვინმე ვლადიმერ სოსრანოვი. ამ რიგით ცნობას, რომელიც ადიღეს ეროვნული კონგრესის პარტიის გაზეთ „კებერდეი"-ს ფურცლებზე ამოვიკითხე („Кьэбердей", 1992. №2), ცხადია ყურადღებას არც მივაქცევდი, რომ არა ერთი გარემოება — ის ერთი იმ გადამთიელ „მოხალისეთაგანი" აღმოჩნდა, რომლებიც აფხაზეთში იბრძვიან.

ყაბარდოულ პრესაში ამ არაკაცის ვინაობაზე საყურადღებო ცნობებია გამოქვეყნებული.

ეს 50 წლის კაცი მთელს ყაბარდოში ცნობილი დამნაშავე — რეციდივისტია. გაზეთი „СМ"-ის თანამშრომლის კითხვაზე, თუ რით ხელმძღვანელობდნენ როცა სამგზის ნასამართლევი წარსულის მქონე ვ. სოსრანოვის დასაცავად გამოდიოდითო, ყაბარდო-ბალყარეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ხაჩატელოვმა უპასუხა:

„მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოს შეუძლია კაცს გაახსენოს ის დანაშაულები, რომლებისთვისაც მან უკვე მოიხადა სასჯელი. და მერე როდინდელი ამბავია ეს, მას კი უკვე, 50 წელი შეუსრულდა. სოსრანოვი პირველი დღეებიდან იბრძვის აფხაზეთში, როგორც მოხალისე. სერგეი შამბამ მას აფხაზეთის ომის გმირი უწოდა"... (გაზ. „СМ". 1992 წ. 9 ოქტომბერი).

ხედავთ თურმე ვინ ყოფილა სოსრანოვი. „აფხაზეთის ომის გმირიაო" — უთქვამს თურმე მასზე სერგეი შამბას. ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენი ქართველის სისხლია ამ სოსრანოვის სინდისზე. სხვა მხრივ მისი გმირად შერაცხვა ქართველთ მოძულე შამბას მიერ ძნელი წარმოსადგენია.

ომში მოხალისეებად, როგორც წესი ჯანმრთელი, სღსალამათი ვაჟკაცები მიდიან. სოსრანოვი კი, თუკი თვითონ მას დავუჯერებთ ავადმყოფია. ნალჩიკის

ხელისუფლებას საყვედურობს, ჩემი — ავადმყოფის, მეორე ჯგუფის ინვალიდის დაპატიმრება უკანონობაო, მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ მისივე განცხადებით დაპატიმრებისას მას ჯიბეში აღმოუჩინეს 100.000 მანეთი ფული, და ვინ იცის რომელი ანაწიოკები თუ დახვრეტილი ქართველისათვის წართმეული ქურქი.

კაცისმკვლელისა და მძარცველის, ჩამოყალიბებული დამნაშავის გმირად გამოცხადება შავრაზმული რუსეთის მსტოვრის მიერ აბა რა გასაკვირია, მაგრამ არ შეიძლება გული არ გეტკინოს, როცა იმ კაცის ხელმოწერას, ვინც ოდესღაც პატიოსანი გეგონა და ეროვნული თავისუფლებისათვის თავგადადებულ მებრძოლად მიიჩნევდი, ვისთან ერთადაც სამშობლოს მომავალზე სჯა-ბაასში ღამეებიც გითენებია, ისეთი არაკაცის ხელმოწერის გვერდით რომ ნახავ, როგორიც სოსრანოვია.

არადა, სამწუხაროდ ეს ასეა.

გაზეთ „Кавказский дом"-ის 1992 წლის 27-ე ნომერში დაიბეჭდა აგვისტოს დამდეგს გროზნოში გამართული „კავკასიის სახლი"-ს მრგვალი მაგიდის მონაწილეთა კომუნიკე, რომლის მესამე მუხლში აფხაზეთში განლაგებული ქართული ჯარები „დამსჯელ ჯარებად" არიან მოხსენიებულნი.

როცა საქართველოს ერთიანობის შესანარჩუნებლად გადამთიელ მომხდურებთან მებრძოლი შენი სამშობლოს ჯარს, მტერი „დამსჯელს" ეძახის, რა გასაკვირია, მაგრამ როცა მის ასე მოხსენიებას ქართველი კაცი კვერსაც კი დაუკრავს და ამას თავისი ხელმოწერითაც დაადასტურებს — ეს უკვე ღალატის ტოლფასია. ის ქართველი, ვინც ამ კომუნიკეს კაცისმკვლელ სოსრანოვთან ერთად მოაწერა ხელი, გიორგი მარჯანიშვილია.

აბესალომ ტუღუში



# აქ ქართველი ცხოვრობდა...

## (რეპორტაჟი ცხინვალიდან)

ვახტანგ კომახიძე

ცნობილია, რომ დაგომისის ხელშეკრულებით შესაძლებელი გახდა ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა. სამშვიდობო ძალების აქ შეყვანამ საფუძველი ჩაუყარა კონფლიქტის დარეგულირების პირველ ეტაპს, მაგრამ ის მდგომარეობა, რაც დღეს ცხინვალშია, ბადებს კითხვას, როგორ შეიძლება შიდა ქართლში დაიწყოს რაიმე სასიკეთო ძვრები, თუ ეს პირველი ეტაპი თითქმის არ ცვლის ამინდს ცხინვალის პოლიტიკურ ცხოვრებაში? გასაგებია, რომ ცხინვალის კონფლიქტს დაკონსერვებული სახითაც კი, თუ გავითვალისწინებთ თუნდაც აფხაზეთის ომს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შეუძლებელია, ცხინვალის მშვიდობიანი დრო მხოლოდ ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდეს და გაურკვეველი რჩება, იფეთქებს თუ არა გასაუვნებელი ნაღმივით მიყუჩებული ცხინვალი.

14—15 ივლისიდან გაიხსნა გზა ცხინვალზე, რომელმაც ოსების მიერ ბლოკირებული ლიახვის ხეობა, სოფელ თამარაშენიდან კეხვამდე ქართულ მხარეს შეუერთა. გზა გაიხსნა ოსებისთვისაც, რადგან ამ სოფლებზე გავლით ჩრდილოეთ ოსეთი ცხინვალს უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთიდან ამ გზით მიემართებიან სასომხეთში დატვირთული საბარგო მანქანებიც.

დღეს უკვე ქართველთა ავტობუსები ყოველგვარი დაცვის გარეშე გადიან ცხინვალზე. ქართველები ფანჯრებიდან ათვალიერებენ ქალაქს, ზოგჯერ ხელის ქნევით ესალმებიან ქუჩებში გამოსულ ცხინვალელ ნაცნობებს, მაგრამ ავტობუსიდან ჩასვლას ჯერ ვერავინ ბედავს. ასეთსავე მდგომარეობაში არიან ოსები, როცა ქართული სოფლების გავლით მიემგზავრებიან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობაში ერთგვაროვანი განწყობილებაა. ცხინვალი ჯერჯერობით ისევე საშიშია ქართველებისთვის, როგორც ქართული სოფლები ოსებისთვის. ჯერ კიდევ ლაპარაკობენ შურისძიებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობამ მოსახლეობას შვება მისცა, შეწყდა გაუთავებელი სისხლისღვრა, ხალხმა საქონელი საძოვრებზე გაიყვანა, აიღეს ტყვიის წვიმაში დათესილი მოსავალი. ლაპარაკობენ შურისძიებაზე და შეურიგებლობაზე. ცხინვალი და მისი შემოგარენი გადამწვარი და ნაომარი შენობების მიუხედავად ჯერ კიდევ არ ქმნის ომის შემდგომ განწყობილებას, აქ ხელოვნურად შეკუმშული და შეკავებული ორი მხარე დგას ერთმანეთის პირისპირ და მათი მომავალი დამოკიდებულია ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლების პოლიტიკაზე და შესაძლებლობებზე. სწორედ ცხინვალის პოლიტიკაზე, რადგან აქ საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი გავრცელების საშუალება ჯერჯერობით არ არსებობს.

ცხინვალი კი საომარი მდგომარეობით ცხოვრობს. მოქმედებს საკომენდანტო საათი. ქალაქი რუსეთიდან და ჩრდილო-ოსეთიდანაც მარაგდება სურსათ-სანოვაგით, მაგრამ მოსახლეობაში მაინც მწვავე სოციალური უკმაყოფილებაა, რისი მიზეზებიც, მათივე აზრით საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენაშია. აქ მკაფიოდ არაა გამოკვეთილი, თუ როგორ უნდა მოეწყოს პოლიტიკურად ოსური რესპუბლიკა, მაგრამ სახელმწიფოს მოწყობას ყველა საქართველოს ფარგლებს გარეთ ესწრაფვის. ქალაქში დაბრუნდა მრავალი ლტოლვილი, ცხადია, ოსები. ქალაქში, სადაც ქართველების გადამწვარი სახლები უფრო მეტია, ვიდრე ომის შედეგად დანგრეული შენობები. გადამწვარსა და ცეცხლისგან გამშავებულ კედლებზე ხშირად შევხვდებით წარწერას: „აქ ქართველი ცხოვრობდა", ამგვარი შინაარსის წარწერები ქართულ სოფლებშიცაა ოსების სახლებზე და გასაგებია, თუ რა ეროვნებისა არიან ამ წარწერების ავტორები, რადგან ეს გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება, მაგრამ ერთ-ერთ გადამწვარსა და დანგრეულ სოფელში, სადაც აღარავინ ცხოვრობს, გამურულ კედელზე ერთი ასეთი წარწერა აღმოჩნდა: „ქმარი ქართველია, ცოლი ოსი", ამ სოფელში ორივე ეროვნების ხალხი მრავლად ცხოვრობდა და ალბათ არ არსებობს რაიმე სამძებრო მეთოდი, რომელიც ამ სიტყვების დამწერის ეროვნებას განსაზღვრავდა. ეტყობა, სისასტიკეს ლოგიკა არა აქვს, ან მთელი ეს „ეროვნული მოღვაწეობა" ნაწილობრივ ძველ შურსა თუ ბოღმაზე, გარკვეულ სოციალურ მოტივებზეცაა აგებული.

ცხინვალში ყოფილი საოლქო კომიტეტის შენობის თავზე ალანური დროშა ფრიალებს. შენობის გარშემო კი საინფორმაციო სტენდებია მოწყობილი. ამ დაფებზე ძველი „საბჭოთა ოსეთის" ამოცანებისა და მიზნების ნაცვლად „ახალი ოსეთის" დავალებებია ექსპონირებული. ერთ-ერთ დაფაზე საკმაოდ უცნაური რუქა გაუკრავთ, რომლის ფოტო-ფირზე აღბეჭდვაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და სამწუხაროდ არ მოხერხდა.

რუქა სამი სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მოიცავდა. ეს სახელმწიფოებია: გაერთიანებული ოსეთი, ანუ — **Алания**, საქართველო — **Иберия** და აფხაზეთი — **Лазика**. მოკლედ „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა", ამ ჩვენს ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლებას.

ცხინვალს კვლავინდებურად ამშვენებს „დიდი ბელადის" ძეგლი, ერთგვარი სოლიდარობის ნიშანი, რომელსაც ისინი რუსეთის რეაქციულ ძალებს, გნებავთ, ნეოკომუნისტებს უცხადებენ. სოლიდარობასა და ერთგულებას უცხადებენ მათ, ვისთანაც დაკავშირებულია ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლების მოსკოვური ვიზიტები.

ცხინვალის ხელისუფლება ერთის მხრივ პროტესტებს გზავნის „გაეროსა" თუ რუსეთის უზენაეს ხელისუფლებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ცნობის გამო და სასარგებლო კავშირებს ეძებს იგივე რუსეთის ოფიციალურსა თუ არაოფიციალურ წრეებში, რათა მიღწეულ იქნას მათი ხელისუფლების დაკანონება. სავარაუდოა, რომ სწორედ ამგვარი ამოცანებით ამ დღეებში მოსკოვს გაემგზავრა „უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — ტორეზ კულუმბეკოვი.

არამც და არამც გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ცხინვალი ახლა ქალაქ-სახელმწიფოა, რომელსაც ერთი მუჭა ბანდა დაპატრონებია და სადაც ჯერ კიდევ გარკვეული სამხედრო გამაგრება წარმოებს.

კულუმბეკოვის პიროვნებას ჩვენში საკმაოდ კარგად იცნობენ, მაგრამ მაინც დავუმატებდით: იგი გასულ თვეში განთავისუფლებულ იქნა მთიელ ხალხთა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან და მის ადგილას დაინიშნა მისივე მოადგილე „სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოდან" აციკ კაბისოვი და კიდევ, მას ძალიან არ უყვარს ინტერვიუების მიცემა პოლიტიკურ საკითხებზე.

მთიელ ხალხთა კონფედერაციის ახალ ვიცე-პრეზიდენტს კი ჩვენში ნაკლებად იცნობენ. იგი გაერთიანებული ალანური რესპუბლიკის მომხრეა და ცხინვალის ადმინისტრაციამ სწორედ მასთან დაგეგმა ინტერვიუ ჩვენი გაზეთისთვის, მაგრამ სამსაათიანი მოლოდინის შემდეგ საქმე ისე მოაქციეს, რომ მასთან შეხვედრა არ შედგა.

ერთიან ალანურ რესპუბლიკას ცხინვალში ყველა როდი სჯერდება. არსებობს სხვაგვარი აზრიც — დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. ამ აზრს ოპოზიცია ატარებს. ისინი თითქმის ყოველ საღამოს „ხელისუფლების დამცველების" წინააღმდეგ აწყობენ შეიარაღებულ ინციდენტებს. ქალაქში მრავლადაა კრიმინალური ბანდებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბანდებში ქართველებიც იღებენ მონაწილეობას.

შერეული სამშვიდობო ძალები, რომლებიც შინაგან ძალებთან ერთად აკონტროლებენ ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს, „ხელისუფლებისა" და ოპოზიციის კონფლიქტში არ ერევიან. ქალაქის შემოგარენში განლაგებულია შერეული სამშვიდობო ძალების რამდენიმე ნაწილი, შიგ ცხინვალში კი ამ ჯარების შტაბია, სადაც რამდენიმე ასეული ოსი და რუსი ჯარისკაცი და მათთან ერთად ოთხი, დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, მხოლოდ ოთხი (სამი ოფიცერი და ერთი რიგითი) ქართველია. ცხინვალში რუსებისა და ოსების უზარმაზარი ყაზარმების გვერდით ერთ პაწაწინა ქოხში ეს ოთხი ქართველიცაა დაბინავებული, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ქართველი ჯარისკაცები მხოლოდ სოფელ ნიქოზიდან თუ დაეხმარებიან. გაურკვეველია, თუ რატომ ატარებს ჩვენი სამშვიდობო ძალებში მონაწილეობა თითქმის სიმბოლურ ხასიათს.

გვესმის, რომ დღეს ძალიან უჭირს ქართულ ჯარს, უჭირს მატერიალურად და მორალურად, უჭირს ხელისუფლებასაც და ამდენად აქ დაგროვილ წვრილმან პრობლემებზე აღარ შევჩერდებით, მაგრამ შიდა ქართლის პრობლემების წარმოჩენისთვის უფრო ნათლად რომ დავინახოთ აქ მიმდინარე პროცესები, რომ შესაძლებელი გახდეს შეხვედრების მოწყობა ოსური მხარის პოლიტიკური წრეებისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, იმ ოთხ ქართველ სამხედრო მოსამსახურესთან ერთად ცხინვალში იქნებ ჩვენი პრეს-სამსახურიც დაბანაკებულიყო. ეს სჭირდება შიდა ქართლის მოსახლეობას, ეს ყველას გვჭირდება.



ლენინი ცხინვალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგელია, მგელი!

ერთ კვირადღეს მამობრივმა გრძნობამ ამიტანა, ყანწის მომგონს შევუკურთხე და უმცროსი შვილი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში წავიყვანე „წითელქუდას“ სანახავად.

სპექტაკლის ფინალში, როცა წითელქუდა ის-ისაა ბებიას ნაცვლად მგელს უნდა ჩაუწვეს ლოგინში, პატარა მაყურებლებს ნერვებმა უმტყუნა და ყვირილი მორთეს:

— არ დაწვე, წითელქუდა, მგელია, მგელი!

მათი ყიჟინი ყველას ესმოდა, წითელქუდას გარდა. რით დამთავრდა ყოველივე, იცით, ძვირფასო მკითხველო. ვიჯექი და წითელქუდაზე კი არა, საქართველოს ხელისუფლებაზე ვფიქრობდი.

ხალხს ვერ ნახავ ამ ცისქვეშეთში, რომელსაც ისე უყვარდეს მგლები, როგორც ჩვენ. წელს არ იყო, ჩვენს ხაფანგში გაბმული მგელი — კულუმბეგოვი რომ გავუშვით ტყეში, აქაო და სატყუარა იყო ულირსიო? ახლა ის მგელი ცხინვალ-მოსკოვის გზაზე დატორეზობს და ყმუილით უხმობს თანამოძმეთ, რათა ისედაც კიდეებშემოხრულ საქართველოს კიდევ ერთი ნაწილი წაჰგლიჯონ.

მგელი მგელია, კულუმბეგოვი იქნება ის თუ არძინბა და მათთან ურთიერთობებში დახელოვნებულმა ჩვენმა წინაპრებმა ანდერძივით დაგვიტოვეს: მგელს რაც უნდა ეფერო, თვალი მაინც ტყისკენ გაურბისო. ეს რომ გაეთვალისწინებინათ ჩვენს მწყემსებს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ცხვრადქცეული ხალხი არ გახდებოდა მათი საკბილო.

ახლა აფსუა მგლები გვთავაზობენ: ქართველებო, ჩვენ თქვენთან ძმობა და მეგობრობა გვინდა, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ, მხოლოდ მანამ ეს ავი გვარდიელები და მხედრიონელები მოგვაშორეთ აფხაზეთიდან, ჩვენს მეგობრობას რომ უშლიან ხელსო.

მოდით, ბრძენი ეზოპეს ერთი იგავი გავიხსენოთ: ცხვრის ფარას ძაღლები იცავდნენ მგლებისგან. მგლებმა ცხვრებს შემოუთვალეს, თქვენთან მშვიდობა და მეგობრობა გვინდა, მხოლოდ ეგ ძაღლები გვიშლიან ხელსო. გაბრიყვდნენ ცხვრები, ძაღლები დაითხოვეს და მალე იმ მგლების მსხვერპლი გახდნენ.

თუ ამ შეგონებას უგულებელვყოფთ აფხაზეთში, იმავე შედეგებს მივიღებთ, რაც სამაჩაბლოში მივიღეთ, სადაც მგელი არც იშლის და არც მალავს მგლობას. კონფლიქტურ სიტუაციათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, გიხაროდეთ, კარგია, მხოლოდ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვინ დგას მეორე მხარეს.

როცა ჩვენი მშვიდობისმოყვარე ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგჯერ აცხადებენ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარება — მოლაპარაკების გზით შეიძლებაო, იმ პატარა მაყურებელივით მინდა ვიყვირო:

—არ დაიჯეროთ, მგელია, მგელი!

მათ მგლობაში რომ დავრწმუნდეთ, ეტყობა, სულ უნდა მოგვითავონ ხელი აფხაზთა და ოსთა ბანდებმა და კიდევ მათმა მხარდამჭერმა ლათვმა...

ილია გარამიძე

# მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს



## ავთანდილ იოსელიანი

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა ავთო იოსელიანი

აფხაზეთში იბრძოდა სვანური შემართებით, სვანური ერთგულებით. სამშობლოს მიწას იცავდა, როგორც ჩვენს მამა-პაპათ დაუცავთ, როგორც სისხლი და გონება კარნახობს მამულის დამცველს. მტრის ტყვიას არ უშინდებოდა და ვერც მოახერხა მტერმა ამ კაცზე გამარჯვება ეზეიმა, მაგრამ სიკვდილმა თუ კაი ყმის სისხლი მოიწყურა, წინ რა დაუდგება, თუმცა გმირობა მხოლოდ მტერთან ვაჟკაცური შებმა არ ყოფილა...

26 ნოემბერს ოჩამჩირეში უმუხთლა ბედმა მრავალ ქარ-ცეცხლსა და ტყვიის წვიმაში გამოვლილს. იმ წამებში ბევრს ჩახედა თვალებში სიკვდილმა. ოთახში, სადაც მებრძოლები ისვენებდნენ, ავთოს შემთხვევით ყუმბარა გაეხსნა. რამდენიმე წამში ყველას სიკვდილი ელოდა, მაგრამ ამ უმცირეს დროში მოასწრო და თავისი სხეულით დაფარა სიკვდილის მთესველი აფეთქება. დაიღუპა და უვნებლად გადაარჩინა თანამებრძოლეები. ასე ალალ-მართლად, წმინდა სინდისით წავიდა ავთო იოსელიანი

სასუფეველი მოგაგოს უფალმა, კაი ყმავ, ჭეშმარიტად გმირო ქართველო!

# «სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები»

სასტუმრო „ივერიაში“ ლტოლვილთა მოსანახულებლად იმ დროს მივედი, როცა სადილისათვის იჭერდნენ თადარიგს. ჩვენი საუბარიც სწორედ სასადილო დარბაზში შედგა. ცოდვა გამხელილი სჯობს და ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ჩემს მისვლას რაიმე აგრესიული რეაქცია არ გამოეწვია მათში; თავს როგორღაც უხერხულად ვგრძნობდი, მე ხომ — მართალია, ათასი პრობლემით შეწუხებული — მაგრამ მაინც უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფები მათთან, გაწამებულ, სახლ-გადამწვარ, შვილებ— და ნათესავებდაკარგულ ხალხთან შედარებით.

...აქ არიან მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები, ათასნაირი გამომეტყველებით, მოწყენილი თვალებით, მეტ-ნაკლებად ღიმილიანი სახეებითაც.

ჩემი პირველი რესპოდენტები სოხუმელი ლტოლვილები აღმოჩდნენ. მათ ღიმილისა და სიხარულის მეტი უნარი შემორჩენიათ, თითქოს ერთი შეხედვითაც გამოარჩევთ გაგრელი, გუდაუთელი ან ლესელიძელი ლტოლვილებისგან. ყველაფერი ძალიან მძიმე და ტრაგიკული იყოო, — მეუბნებიან, — მაგრამ ჭირმა როგორც არასდროს, ისე დაგვაახლოვა ერთმანეთს ქართველები. გვარდიის, „თეთრი არწივის“ და პირადად გია ყარყარაშვილის დიდი თავგამოდების ფასად შევინარჩუნეთ სულიერი გამძლეობა და მატერიალური დანაკლისიც ნაკლები იყოო მათი შემწეობით.

ჩემს ირგვლივ თანდათან იწყეს შეკრება, ათას რამეს მიყვებოდნენ და მეკითხებოდნენ. მადლობას მაბარებდნენ ყველასთან, ვინც მათი გასაჭირი გაიზიარა. განსაკუთრებით ორი არაქართველი მანდილოსნის ცრემლიანი მოკითხვა და სამადლობელი უნდა გადმოგცეთ. ასეთ სითბოსა და ყურადღებას არაფრით ველოდითო — მითხრეს. საშინელ ამბებს მიყვებიან გაგრელები: ჩემს მეგობარს ძმა მოუკლეს და სანაგვეზე დამარხეს. და განა მარტო ის, ათასობით ქართველი აღმოჩნდა ასეთი ბედისა, ფაშიზმიც კი არ ეთქმისო მათ საქციელს. ძარცვავდნენ, არბევდნენ, ხოცავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ, წყალში ყრიდნენ. განსაკუთრებით გვარდიელებზე და მხედრიონელებზე ნადირობდნენ, საოჯახო ალბომებში ეძებდნენ მათ ფოტოებს და ოჯახებს უდიდესი სისასტიკით უწიოკებდნენ, მილიციის თანამშრომლებს ცოცხლად წვავდნენ, არაფრით ინდობდნენ, მუსრი გაავლეს, თუკი ვინმე ოდესმე თანამდებობის პირი ყოფილა. ერთი 85 წლის მოხუციც ძველ დიდებას შეეწირაო...

— ჩვენს ოჯახებში ჩეჩნები დაბინავდნენ, სახლების უმეტესობა კი გაანადგურეს და ავეჯი გაზიდეს, რაც ვერ წაიღეს, დაწვეს და დაჩეხეს, ტყვეების დასახსნელად სასყიდელს ითხოვენ. ამ ფულით ისევ თქვენი მოსაკლავი ტყვია უნდა ვიყიდოთო.

ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა ასეთი საგულისხმო შემთხვევაც მიამბო: იმ საბედისწერო დღეს აფხაზმა ახალგაზრდამ გადაგვარჩინა, ჩვენმა მეზობელმა. იმ ახალგაზრდას ბიძაშვილები ქართველების დახმარებისათვის ამოუხოცეს და ახლა მთელი საგვარეულოს ამოგდებითაც ემუქრებიან, საერთოდ კი მთელი გაგრა ქართველებით იყო სავსე და ნახევარიც არ გამოსულა უკან, მიცვალებულებს თვლა არა აქვთ, ტელევიზიით კი არაფერს აცხადებთო...

გაგრელებს განსაკუთრებით ძალიან უჭირთ. რაც ტანზე ეცვათ, ისღა შერჩათ, მთელი ცხოვრების ნაშრომ-ნალვაწი წაიღო ომმა. ცოცხლები არიან, მაგრამ თავზარდაცემულები ნანახითა და გადახდენილით: ბედნიერად ვცხოვრობდით, არაფერი გვაკლდა, ახლა კი სახლი აღარ გვაქვსო და კარი. დაუსრულებლად ყვებიან ამბებს...

განსაკუთრებით ერთი ლესელიძელი ახალგაზრდა მანდილოსნის, ინგა არჯევანიძის უსაზღვროდ შეშფოთებული ცრემლიანი თვალები და აკანკალებული ხმით ნაამბობი დამამახსოვრდა: ქალაქი გადამწვარი, სასაფლაო ტანკებითაა გადათხრილი, მიცვალებული ბიძაჩემი, ღორისგან ნახევრად შეჭმული, ბიცოლამ შიშით მიაბარა მიწასო... თურმე ასეთი შემთხვევა არც თუ იშვიათი ყოფილა. — აქაც ძალიან მიჭირსო, — მითხრა ქალბატონმა ინგამ, ბავშვებს გამოსაცვლელი ტანსაცმელიც კი არა აქვთ, არადა, ზამთარი მოდის და ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება სიცივით დავიხოცოთ, ფულადი დახმარებაც არ მიმიღია, სათნოების სახლიდან ლტოლვილთა დახმარების შტაბში გავრბივარ, იქედან ბანკში, არავის ჩემი არ ესმის და არ ენაღვლება. ჰუმანიტარული დახმარებაც შეწყდა და ან კორა იყო, ნახევარი კილოგრამი შაქრით და რძის ფხვნილით სადამდე შეიძლება შეინახო ბავშვი. წყალტუბოში უარესი მდგომარეობაა, ხალხი ლამისაა შიმშილმა და სიცივემ ამოხოცოს, იქ ჩემი ახლობლები ცხოვრობენ და მე, თვითონაც გაჭირვებულმა, იქნებ რაიმე მაინც მივაშველო, ახლა სამსახურსაც ვეძებო... არასოდეს ისეთი უმწეობა არ მიგვრძნია, როგორც მაშინ ამ ქალბატონის ცრემლიანი საუბრის მოსმენისას და არც მასავით აღელვებული მინახავს ვინმე ლტოლვილთა შორის... ქალბატონმა ინგამ მთხოვა, გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადამეცა დეპუტატ არჩილ იოსელიანისათვის, რომელმაც მცირეწლოვანი შვილებით ქუჩაში მყოფი, უსახლკარო დააპურა და დააბინავა.

მერე ქალბატონ ინგას გულისტკივილს სხვებიც შეუერთდნენ. აღმოჩნდა, რომ მათაც აწუხებთ იგივე პრობლემები, განსაკუთრებით ძალიან უჭირთ ჩვილ ბავშვთა გამოკვება. ჩვენი გაჭირვებით ბევრი ხელს ითბობს, თუ არ მივაკითხავთ, არავინ გვეკითხება, არვის ვახსოვართ, მივაკითხავთ და ისიც არაფერია, ჩვენი ბედი მათ არ აინტერესებთო. ძალიან არ მინდა მჯეროდეს, მაგრამ არც ამის უფლება არა მაქვს. ორი წლის ბავშვისათვის სასწრაფო დახმარებას გამოვუძახეთ და ბენზინი არა გვაქვსო, — გვიპასუხეს. იქნებ სასტუმროში გაიხსნას დახმარების შტაბი და აქეთ-იქით სირბილი აღარ მოგვიწევდა, იქნებ ჩვენთვის ეკრანი ცოტა ხნით დაგეთმოთ, რომ ჩვენს პრობლემებზე ხმამაღლა გვესაუბრა, — ეს მათი დანაბარებია.

გზაში არაფერზე აღარ მიფიქრია, დამერწმუნეთ, რომ არ მქონდა ამის უნარი. მთელი გზა მურმან ლებანიძის „სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები“ ამეკვიატა. ასე ვკარგავთ სამაჩაბლოს, სადაც ქართველები ველარ ბრუნდებიან, მეშინია, არ დავკარგოთ აფხაზეთიც და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად არ ვიქცეთ. ამიტომ გვმართებს ერთად დგომა — მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, სრულიად საქართველოს და მიუხედავად ყველაფრისა, იმედია, ეს ასეც იქნება.

ყველანი კი როგორც ერთი, უდიდეს მადლობას უხდიან სასტუმრო „ივერიის“ ადმინისტრაციას, მომსახურე პერსონალს, განსაკუთრებით სასტუმროს ადმინისტრატორ ბატონ ჯემალ კირთაძეს თანადგომისა და დახმარებისათვის. ეს ჩვენი ვალიცაა და იქნებ არც კი ღირდეს ამისათვის საჯაროდ მადლობის გამოცხადება, მაგრამ ყველას დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, ვინაც ასე ზრუნავს მათზე, ვინაც ღიმილისა და სიხარულის უნარს უნარჩუნებს მათ, თორემ ომი ალბათ ოდესმე დამთავრდება, ჩვენი და მათი დადარდიანებული სულების მკურნალობა კი გაგვიჭირდება...

ხათუნა იაკობაშვილი

P.S. ლტოლვილთა ოჯახები სასტუმრო „ივერიიდან“ უდიდეს მადლობას უხდიან თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის 225-ე ჯგუფის სტუდენტებს და დამრიგებელს ქეთინო ჩიხლაძეს, ჯგუფის ხელმძღვანელებს ზურაბ ზაზაშვილს და მერაბ მახარაძეს, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვებს.

მადლობას უხდიან აბესალაშვილის, ზაზაშვილის, გუგეშაშვილისა და მეტრეველის ოჯახებს.

# გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნ. გრიგალაშვილს

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ განიხილა ა.წ. 23—29 ოქტომბრის №42 (1327) გაზეთ „საქართველოში“ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ბატონ ნ. ნათაძის წერილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ე. შევარდნაძისადმი და ავტორის მოსაზრებებს მეორადი ნედლეულის სახალხო მეურნეობაში გამოყენების საქმეში — ძირითადად ეთანხმება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გარდა, მეორადი რესურსების გამოყენების საქმეში სიძნელეებს ქმნის რესპუბლიკის ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. მეორეული ლითონის ჯართი დიდი რაოდენობითაა უპატრონოდ მიტოვებული ან გატანილია საზღვარგარეთ გასაყიდად. ასეთივე სურათია მაკულატურის შეგროვებისა და გადამუშავების საკითხთან დაკავშირებით. ობიექტურ მიზეზებთან ერთად (საწვავის მძაფრი დეფიციტი, ჟურნალ-გაზეთების ღირებულების გაზრდა, ცენტრალური პრესის რაოდენობის შემცირება, მასტიმულირებელი საშუალებების ნულამდე დაყვანა და სხვ.) მეორეული ნედლეულის დამზადებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სიძნელეები გამოწვეულია აგრეთვე ამ საქმეში დაკავებულ პირთა უყაირათო მუშაობით.

• წერილის 1 და 2 პუნქტთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრის მიერ გამოქვეყნებულია 1991 წლის მეორადი რესურსების წარმოქმნის, მოხმარებისა და განაწილების ძირითადი მაჩვენებლების ცხრილი, სადაც მოცემულია ნედლეულის ნომენკლატურა და სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მაჩვენებლები.

აღნიშნულ საქმეში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს გაატაროს რეორგანიზაცია სისტემაში არსებული მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების სფეროში.

პ. გვარიშვილი
მატერიალური რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე

# დეპუტატ ირაკლი წერეთლის გამოსვლა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 6 დეკემბერს

ქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საერთაშორისო თანაცხოვრების რეალურ სტრუქტურებში საქართველოს სრულფასოვან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამკვიდრების საკითხთან მიმართებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პირველი ორი ფაქტორის პრობლემატიკის გადაჭრას, ამჯერად პარლამენტართა ყურადღება თავდაპირველად გვინდა შევაჩეროთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ და განსაკუთრებით სამხედრო სტრუქტურებში არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციის მწვავე დეფიციტზე. მგონი არავისთვის უცხო არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ საქართველოს დღევანდელ შეიარაღებულ ძალებში სუფევს სრული ქაოსი და ანარქია. ზღვარსგადაცილებულმა უდისციპლინობამ და არაორგანიზებულობამ უმძიმესი შედეგები მოუტანა საქართველოს, განსაკუთრებით აფხაზეთის ომში. აშკარა და თვალშისაცემია რუსეთის განუწყვეტელი სამხედრო ჩარევები და აგრესია საქართველოს მიმართ, მაგრამ ის, რომ საქართველოს მიმდინარე არასრულმასშტაბიანი რუსეთის აგრესიის წარმატებით მოგერიება არ შეუძლია, ეს სახელმწიფოებრივ და სამხედრო სტრუქტურებში არსებული არაორგანიზებულობის, უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის ბრალია. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ბევრი ვაჟკაცი მამულიშვილი იბრძვის, მაგრამ ქართველ ჯარისკაცთა თავგანწირვა და შემართება ვერ ფარავს იმ მომაკვდინებელ ვნებებს, რომლებიც შედეგად აქვს შეიარაღებულ ძალებში, ზედა და ქვედა ეშელონებში არსებულ უთაობას. გაგრის დაკარგვა ამ უთაობის უშუალო შედეგია. პოტენციურად საქართველოს და მის შეიარაღებულ ძალებს ყველა საშუალება ჰქონდა, რომ მტერს საერთოდ ვერც კი ეოცნება გაგრაზე იერიშის მიტანაზე, ხოლო ის ფაქტი, რომ საომარი ვითარება აფხაზეთში ისე წარიმართა, რომ დღეს საქართველო დადგა სოხუმის ალებისა და აფხაზეთის დაკარგვის რეალურ საშიშროების წინაშე, სხვა არაფერია, თუ არა მწარე და საბედისწერო ცინიზმი საქართველოს მიმართ. აფხაზეთში ომის დაწყების წინ საქართველოს ნამდვილად გააჩნდა იმის სამხედრო პოტენციალი, რომ უეცარი დაკვრით გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა მტრისათვის, ელვის სისწრაფით გასულს მდინარე ფსოუმდე, ჩაეკეტა ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვარი და აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი კავკასიონის მთავარი ქედის ყველა უღელტეხილი და მაქსიმუმ ათ დღეში წარმატებით დაემთავრებინა სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში. ამისათვის აუცილებელი იყო მტკიცე სახელმწიფო გადაწყვეტილებისა და კარგად შემუშავებული სტრატეგიული გეგმის არსებობა. საუბედუროდ, როგორც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, არც გეგმა არსებობდა თურმე და არც მტკიცე სახელმწიფო გადაწყვეტილება. ამას კი არ შეიძლება მოეძებნოს რაიმე გამართლება, რადგან ეს თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობაში არსებული სახელმწიფო ცნობიერებისა და ორგანიზაციის მკვეთრი დეფიციტისა. ამ დეფიციტს გაგრისა და გუდაუთის რაიონების დაკარგვა და ათასობით ქართველის სიკვდილი მოჰყვა შედეგად. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სამოცი ათასზე მეტი თანამემამულე უსახლკაროდ დარჩა და ლტოლვილად იქცა საკუთარ სამშობლოში. საქართველოს დღევანდელი ისტორიის მკვლევარისთვის გაუგებრად დარჩება დიდი ხნის მანძილზე, თუ რად შეჩერდნენ ეშერასთან საქართველოს შეიარაღებული ძალები. თუ შეიძლება სამხედრო თვალსაზრისით, რაიმე გამართლება მოეძებნოს გუდაუთის არ აღებას, საინტერესოა რა გამართლება უნდა მოეძებნოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონის აფხაზური სოფლების არ დაკვებას, როცა ნამდვილად იყო ამის განხორციელების საშუალება. ყოველივე ეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და სამხედრო ხელისუფლების მმართველი ეშელონების სრულ უპასუხისმგებლობასა და პრობლემებისადმი არასახელმწიფოებრივ მიდგომაზე მეტყველებს. უპირველეს ყოვლისა ამ ფაქტის ხაზგასმა უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და სამხედრო სტრუქტურებში არსებული ანარქიის პრობლემატიკის საპარლამენტო განხილვას. უსამართლობა იქნება სახელმწიფო და სამხედრო სტრუქტურებში ორგანიზაციისა და წესრიგის დამყარება მარტოოდენ ქვედა ეშელონების, რიგითი შემადგენლობის განკითხვით დავიწყოთ. უნდა ვიხელმძღვანელოთ მარტივი ჭეშმარიტებით, რომ თევზი თავიდან ყროლდება და სახელმწიფო და განსაკუთრებით სამხედრო სტრუქტურებში მყარი სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბების პრობლემა, ჩვენი ერისთვის ამ უმძიმეს ჟამს, საპარლამენტო ზრუნვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხად ვაქციოთ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თუ ამ პრობლემას არ მოხედა დროულად, მაშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებსა და სტრუქტურებში ფეხმოკიდებული ქაოსი საფუძვლიანად წარყვნის და წალეკავს ქართველი ერის სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას.

რამდენადაც საქართველო დგას სახელმწიფოებრივი ყოფიერების უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში სახელმწიფო ორგანიზაციის მწვავე დეფიციტის წინაშე, ამ მტკივნეულ პრობლემის პარალელურად, არანაკლები სიმწვავით ჩნდება მეორე პრობლემა, რომელიც საქართველოს ოკუპაციასა და რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას უკავშირდება. ჩვენ არცერთ შემთხვევაში ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ და ისე არ უნდა გაგვიტაცოს მყარი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობის პრობლემატიკამ, რომ საერთოდ მიგვავიწყდეს საქართველოს დეოკუპაციის საკითხი და აქედან გამომდინარე, ბოლომდე არ მივიყვანოთ საქართველოს განთავისუფლების ისტორიული პროცესი. პირველ რიგში უნდა გამოვიდეთ იმ ლოგიკიდან, რომ ოკუპირებული ქვეყანა ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო. რამდენადაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ეროვნული თავისუფლების სრულყოფილი გამოხატულებაა, ხოლო თავისუფლება უზენაესი ღირებულებაა ყველა ღირებულებათა შორის, თავისუფალი საქართველოს თვით ზოგადი მოსაზრებაც კი უკვე საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის აუცილებლობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალი ისტორიული ეტაპის დასაწყისში ეროვნული ხელისუფლება და მთავრობა ვალდებულია შეუდგეს იმ ძირითადი მიზეზის აღმოფხვრას, რამაც ქვეყანა არსებულ მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. აბსოლუტურად ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მთავარი მიზეზი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის, გასაბჭოების, ტერიტორიული დანაწევრების და სხვა მრავალი უბედურების — იყო 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია. სწორედ ამიტომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ და აუცილებელ პირობად ერთხმად იყო აღიარებული საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან პოლიტიკურ პარტიებისა და ორგანიზაციების ოფიციალურ დოკუმენტებში, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის, ეროვნული ფორუმის, ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრისა და ეროვნული კონგრესის მიმართვებსა და რეზოლუციებში, 1989 წლის 4—9 აპრილის, 9—11 ივნისის, ივლის-აგვისტოს, ოქტომბერ-ნოემბრის, 1990 წლის იანვრის საყოველთაო გამოსვლებსა და გაფიცვებში, 1990 წლის 13—15 მარტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციისა და 1990 წლის 21—23 მაისის ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებებში, 1990 წლის 19 ნოემბრის საქართველოს რესპუბლიკის კანონში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ოფიციალურად დაფიქსირდა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ. 1991 წლის 7 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის ჯარებს განესაზღვრა საოკუპაციო სამხედრო ძალის სტატუსი. ამ არგუმენტიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს დეოკუპაციის შესახებ ოფიციალურ დონეზე საკითხის არ დასმა და ამ მიმართულებით თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არწარმართვა იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგისტრალური ხაზიდან გადასვლა და ოთხმოციანი წლების დამლევს ქართველი ერის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის წამოწყებული ისტორიული ბრძოლის შეჩერება, რასაც შთამომავლობა მისცემს ეპოქალური ღალატის კვალიფიკაციას.

როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ სამაჩაბლოსა და შემდგომ აფხაზეთში მიმდინარე ომმა დააფიქსირა უამრავი ფაქტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ჩარევებისა, ანტიქართული სეპარატისტული ძალებისადმი დახმარებისა და საქართველოს მიმართ განხორციელებული აშკარა აგრესიისა. რამდენადაც საქართველოში გრძელდება სამოცდათერთმეტწლიანი სამხედრო ოკუპაცია, იმდენად იურიდიული თვალსაზრისით სრულუფლებიანი დამოუკიდებელი საქართველო პრაქტიკულად რჩება რუსეთის იმპერიის სტრატეგიულ სივრცესა და გავლენის სფეროებში, რაც უადვილებს რუსეთს განახორციელოს აგრესია საქართველოს მიმართ. საქართველოს ყოფნა რუსეთის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში ყოველთვის იქნება საქართველოში მუდმივი დესტაბილიზაციის, დამანგრეველი და ძირგამომთხრელი პროცესების მძლავრი ფაქტორი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შავიზღვისპირეთში რუსეთს აქვს თავისი სტრატეგიული ინტერესები. აქედან გამომდინარე მას ხელს არ აძლევს სტაბილიზაცია საქართველოში. სტაბილიზაციის შემთხვევაში საქართველოს შექმნება მოლონიერების, განვითარების და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რეალური პერსპექტივები, რაც შემდგომში წერტილს დაუსვამს ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიულ ჰეგემონიას და მნიშვნელოვნად შეასუსტებს შავიზღვისპირეთში მის გავლენას. ამიტომ საქართველოს დასუსტებისა და თავის გავლენის სფეროებში მუდმივად დატოვების მიზნით რუსეთი ყოველთვის ეცდება მდგომარეობის დენორმალიზაციასა და დესტაბილიზაციას საქართველოში. ამ მხრივ საქართველოს ყოფნა რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში მუდმივ საშიშროებას უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტს, საერთო ეროვნულ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ასე, რომ მოცემულ ისტორიულ ეტაპზე საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ყოფიერების თვალსაზრისით, აქვს არსებითი მნიშვნელობა.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ ოფიციალურ დონეზე საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დასმა და ამ მიმართულებით გამიზნული და პრინციპული სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება უმოკლესი გზაა საქართველოს სრულ და საბოლოო განთავისუფლებამდე. საქართველოს დეოკუპაცია თვით საბჭოთა კავშირის პირობებშიც არ იყო განუხორციელებელი მიზანი თუ რა თქმა უნდა ამ მიმართულებით ერის ბრძოლა იქნებოდა უკომპრომისო ხასიათის და საყოველთაო მასშტაბების. საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა მით უფრო განხორციელებადი პრობლემაა დღეს, როდესაც საქართველომ იურიდიულად აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გახდა საერთაშორისო სამართალსუბიექტი და მსოფლიოს უნივერსალური თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. ასე, რომ საქართველოს დეოკუპაციას წინ ვერაფერი დაუდგება თუ რა თქმა უნდა ამ პრობლემას საქართველოს პარლამენტი აქცევს მიზანმიმართულ და პრინციპულ სახელმწიფო პოლიტიკად.

აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საქართველოს სრული დეოკუპაციისთვის უკომპრომისო ბრძოლა საქართველოს მიიყვანს კატასტროფამდე და დამღუპველ შედეგებამდე. არის ფრიად მავნებელი და არაჯანსაღი აზრი, ასეთ პოლიტიკურ აზროვნებას ერის სახელმწიფოებრივი ცნობიერება და შეგნება ქვეშევრდომული ყოფიერების კატეგორიებამდე დაჰყავს. ის, ვინც ამბობს, რომ საქართველო რუსეთის გარეშე დაიღუპება, ხელს უწყობს საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროებში დატოვების ბნელ მისწრაფებას და თავისი მხრიდან აბრკოლებს საქართველოს ჩართვას ევრო-ატლანტიკურ სივრცის უდიდესი ცივილიზაციის პოზიტიურ პროცესებში. სასაცილოცა კია იმაზე ფიქრი, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საყოველთაო საერთაშორისო აღიარების მქონე ერი, მეოცე საუკუნის დამლევს, შეიძლება თავის თავისუფალ არჩევანსა და მისწრაფებას შეეწიროს. რასაკვირველია, რუსეთთან მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების გზაზე საქართველოს მრავალი დაბრკოლება და სირთულე შეხვდება, მაგრამ არ არსებობს სირთულე ან დაბრკოლება, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდეს, მით უფრო მაშინ,

როდესაც მას შედეგად ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მოაქვს.

ახლა კი გაგაცნობთ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება, ჩვენი ღრმა რწმენით, დააჩქარებს საქართველოს განთავისუფლებას, აგრესიის წარმატებით მოგერიებასა და მიმდინარე ომის დამთავრებას ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეულახველად. წინადადებათა პაკეტი მიმდინარე ომის მოგერიების, აგრესიის აღმკვეთ და სხვა მნიშვნელოვან გადაუდებელ სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებათა შესახებ

1) საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს სპეციალური დადგენილება საქართველოში ომის მიმდინარეობის შესახებ. დადგენილებაში უნდა დაფიქსირდეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებენ აფხაზეთის სეპარატისტული ძალები, უცხო ქვეყნის, კერძოდ რუსეთის ტერიტორიიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდებისა და ექსტრემისტული დაჯგუფებების აშკარა მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით. ამავე დადგენილებაში უნდა დაფიქსირდეს, რომ აფხაზეთში მიმდინარე ომში ადგილი აქვს რუსეთის სისტემატიურ სამხედრო ჩარევებს საქართველოს წინააღმდეგ. სამხედრო ჩარევებს უნდა მიეცეს სუვერენული საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული აშკარა შეიარაღებული აგრესიის კვალიფიკაცია. უნდა ითქვას, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს გამოუცხადებელ, მცირე მასშტაბიან ომს.

2) ომის მიმდინარეობის შესახებ დადგენილების მიღების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოაცხადოს მიმდინარე ომის საგანგებო მდგომარეობა.

3) საგანგებო მდგომარეობის განხორციელება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურისა და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს პირდაპირ დაქვემდებარებაში დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს.

4) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა უწყება, დაწესებულება და საწარმოო გაერთიანება გადავიდეს განსაკუთრებულ რეჟიმზე.

5) საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის რეორგანიზაციის შესახებ. პარლამენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ კანონისა და გენერალური შტაბის შესახებ დებულების მიღებამდე აღნიშნულმა დადგენილებამ მკვეთრად და მოკლედ უნდა განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებანი, კერძოდ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი გამოვიდეს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული დაქვემდებარებიდან და გადავიდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის პირდაპირ დაქვემდებარებაში.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალა, გარდა პოლიციისა და შინაგანი ჯარებისა, გადავიდეს გენერალური შტაბის უშუალო დაქვემდებარებასა და სტრუქტურებში. გენერალური შტაბის უფროსის უფლებამოსილება განისაზღვროს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა და ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის (შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის) მოადგილისა სამხედრო დარგში.

გ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა შევიდეს გენერალური შტაბის კომპეტენციასა და უფლებებში.

6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურმა და საქართველოს პარლამენტმა დაავალონ გენერალურ შტაბს შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება:

ა) ამჟამად მოქმედი ყველა შეიარაღებული ძალების რიგებში მყოფი ჯარისკაცებისა და სამხედრო პერსონალის ზუსტი რაოდენობის დადგენა!

ბ) შეიარაღებული ძალების ხელში არსებული მთელი შეიარაღების ზუსტი რიცხობრივი აღრიცხვა!

გ) შეიარაღებული ძალების უკლებლივ ყველა წარმომადგენელზე პირადობის და დამადასტურებელი სამხედრო მოწმობების გაცემა!

დ) სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა და კონტროლი. პირადი ინიციატივის საფუძველზე გენშტაბთან შეუთანხმებელი სამხედრო ოპერაციებისა და გადაადგილებების კატეგორიული აკრძალვა საომარი მოქმედების ადგილებში!

ე) საომარი მოქმედების ადგილებში გენშტაბის უშუალო დაქვემდებარებაში არმყოფი შეიარაღებული პირების დაკავება, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათი ფიზიკური ლიკვიდაცია!

ვ) სამხედრო ნაწილებიდან და საომარი მოქმედების ადგილებიდან ჯარისკაცთა და სამხედრო პირთა თვითნებური მისვლა-მოსვლის აკრძალვა. იმის უზრუნველყოფა, რომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე სამხედრო ნაწილიდან ან საომარი მოქმედების ადგილიდან წამოსული პირი ადგილზე ტოვებდეს მასზე დროებით განპირობებულ იარაღს!

ზ) საპარლამენტო დადგენილების საფუძველზე საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირების პირადი შემადგენლობის დაშლა და მათი პერსონალური განაწილება გენშტაბს დაქვემდებარებული ერთიანი შეიარაღებული ძალების რიგებში!

თ) მობილიზაციის შედეგად გაწვეული მოქალაქეებისა და მოხალისეების პერსონალური განაწილება ერთიანი შეიარაღებული ძალების რიგებში!

ი) სათანადო წვრთნისა და მომზადების გავლის გარეშე ფრონტის ხაზზე მობილიზაციის შედეგად გაწვეული მოქალაქეებისა და მოხალისეების გაგზავნის კატეგორიული აკრძალვა!

კ) მობილიზაციის შედეგად შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეულ მოქალაქეთა ზუსტი რიცხობრივი აღრიცხვა! აგრეთვე მოხალისეთა ზუსტი რიცხობრივი აღრიცხვა!

ლ) მიმდინარე ომში ომის დაწყების დღიდან დაღუპულ და დაჭრილ ჯარისკაცთა საერთო რაოდენობის დადგენა!

მ) მიმდინარე ომში ომის დაწყების დღიდან განადგურებული, დაკარგული წყობიდან გამოსული შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის ზუსტი რაოდენობრივი აღრიცხვა!

ნ) ჯარისკაცთა დაღუპვისა და დაჭრის, აგრეთვე ტყვედ ჩავარდნის თაობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სრული და ამომწურავი ინფორმაციის ოპერატიული და სისტემატიური მიწოდების უზრუნველყოფა!

ო) სპეციალური დანიშნულების სამსახურის შექმნა ფრონტის ხაზზე მეომარ ჯარისკაცთა მომარაგების უზრუნველყოფისა და ჯარისკაცთა მომარაგების პრობლემის შესწავლისათვის!

პ) უცხო ქვეყნის პროფესიონალი სამხედრო პირებისაგან დროებითი დაქირავებული რაზმების შექმნა მიმდინარე ომში მონაწილეობის მისაღებად!

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურმა გამოსცეს განკარგულება არასრულმასშტაბიანი, შერჩევითი მობილიზაციის გამოცხადების შესახებ.

8. შეიარაღებული ძალების რიგებში აღნიშნული მობილიზაციის შედეგად გასაწვევ მოქალაქეთა საერთო რაოდენობა განსაზღვროს საქართველოს პარლამეტმა.

9. აღნიშნულ მობილიზაციას დაექვემდებარონ საქართველოს მოქალაქეთა მამრობითი სქესის წარმომადგენლები 18-დან 55-წლამდე ასაკისა.

10. მოქალაქეთა მობილიზაციის მთელი პროცედურა მკაცრად განახორციელოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენშტაბის შესაბამისმა სამსახურებმა.

11. საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ ცეცხლმსროლელი იარაღის შენახვის, ტარებისა და რეგისტრაციაში გატარების წესის შესახებ. ამ დადგენილების მიხედვით ცეცხლმსროლელი არაავტომატური იარაღის ტარების უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, საბაჟოსა და დაცვის სამსახურების წარმომადგენლებს. სამოქალაქო ადგილებში ავტომატური ცეცხლმსროლელი იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ პოლიციის წარმომადგენლებს. ჯარისკაცებსა და სამხედრო პირებს სამხედრო ნაწილებისა და საომარი მოქმედების გარეთ უნდა აეკრძალოთ იარაღის ტარება!

12. პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს საქართველოს მოქალაქეთა ხელში არსებული ცეცხლმსროლელი იარაღის რეგისტრაცია. მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრაციაში არ გაატარებენ იარაღს, დაექვემდებარონ იარაღის ჩამორთმევასა და ჯარიმის გადახდას.

13. საქართველოს პარლამენტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა შექმნას კანონმდებლობა იარაღის რეგისტრაციის, შენახვისა და ტარების წესებისა და უფლებების შესახებ.

14. საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს დადგენილება ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების შტაბების შენობების ნაციონალიზაციის შესახებ. მიზანშეწონილი იქნება ამ შტაბების შენობებში განთავსდეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენშტაბი და თავდაცვის სამინისტრო.

15. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნას დროებითი ერთიანი საპარლამენტო და სამთავრობო კომისია, რომელიც მოახდენს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საოკუპაციო ჯარების მთელი შეიარაღებისა და ქონების ინვენტარიზაციასა და ნაციონალიზაციას.

16. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მიეცემა უცხო ქვეყნის საოკუპაციო ჯარების სტატუსი, ხოლო 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოსვლას მიეცემა სამხედრო აგრესიის კვალიფიკაცია. ამ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საოკუპაციო ჯარების ყოფნა არის 1921 წლის თებერვალში ჩადენილი აგრესიის გაგრძელება და ამის საფუძველზე საქართველო უნდა გამოცხადდეს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.

17. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღოს მიმართვა გაეროს სახელზე და გაეროს უშიშროების საბჭოში ოფიციალურ დონეზე დასვას საკითხი საქართველოს სრული და უპირობო დეოკუპაციის შესახებ. აღნიშნულ მიმართვაში უნდა ითქვას აფხაზეთში მიმდინარე ომში რუსეთის სისტემატიური ჩარევების შესახებ და აქედან გამომდინარე რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის აღკვეთის შესახებ. მიმართვაში ხაზი — უნდა გაესვას, რომ რუსეთის სამხედრო ჩარევები აფხაზეთის ომში, სამოცდათერთმეტწლიან ოკუპაციასთან ერთად, არის გაგრძელება 1921 წლის თებერვლიდან დაწყებული რუსეთის სამხედრო აგრესიისა.

18) საქართველოს პარლამენტმა მიიღოს მიმართვები მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელზე, რომელ მიმართვებშიც ეთხოვებათ მხარდაჭერის აღმოჩენა გაეროს უშიშროების საბჭოში საქართველოს დეოკუპაციის შესახებ საკითხის ოფიციალურ დონეზე დასმაში.

19) აღნიშნულ მიმართვებში პარლამენტმა მოითხოვოს, გარკვეული ვადით, მდგომარეობის სტაბილიზაციის და რეგიონალური უსაფრთხოების მიზნით, გაეროს ქესდების პირველი თავის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოში სამშვიდობო მისიით მრავალეროვნული შეიარაღებული ძალების შემოყვანა. ამ თვალსაზრისით შეიძლება დაისვას საკითხი საქართველოში, სამშვიდობო მისიით, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის შეიარაღებული კონტინგენტების შემოყვანის შესახებ. მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭიროს საერთაშორისო უსაფრთხოების მიზნით, ნატოს შეიარაღებული ძალების გამოყენების ახალ ინიციატივას.

20) გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებისადმი გაგზავნილ მიმართვებში უნდა დაფიქსირდეს აფხაზეთში მიმდინარე ომში ქართველი ხალხის გენოციდის, ეთნიკური წმენდისა და ადამიანის სიცოცხლის, უფლებებისა და ღირსების ხელყოფის შემზარავი ფაქტები. საქართველოს პარლამენტმა და ხელისუფლებამ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, საერთაშორისო სამართლებრივი წესით, ოფიციალურ დონეზე აღძრას პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი კონვენციები:

ა) გაეროს მიერ 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია გენოციდის დანაშაულზე გაფრთხილებისა და მასზე დაკისრებული სასჯელის შესახებ.

ბ) გაეროს მიერ 1968 წლის 26 ნოემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია სამხედრო დანაშაულებათა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ვადაგაუსვლელობის შესახებ.

გ) გაეროს მიერ 1973 წლის 30 ნოემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მასზე დაკისრებული სასჯელის შესახებ.

დ) გაეროს 1989 წლის 10 დეკემბრის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელ მიმართვის ფორმათა და სასჯელთა შესახებ.

21. უნდა გაიგზავნოს სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაციები გაეროში, ნატოში, ევროთათბირსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში, აგრეთვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში კონკრეტული საკითხების — საქართველოს დეოკუპაციის, რუსეთის მიერ წარმოებული პერმანენტული შეიარაღებული აგრესიის აღკვეთისა და საქართველოში სამშვიდობო მისიით ნატოს შეიარაღებული კონტიგენტების შემოყვანას — პრაქტიკულად განხორციელების მისიით. საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციების გაგზავნამ, მიმართვების მიღებამ აღნიშნული საკითხების შესახებ უნდა მიიღოს სისტემატური ხასიათი და იქცეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ოფიციალურ კურსად.

22. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებიდან დაუყოვნებლივ იქნას გაწვეული რუსეთის შეიარაღებული ძალების კონტიგენტები.

23. ახალციხე-ვალეს ზონაში საბაჟოს გახსნა და თურქეთთან შემაერთებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალის გაყვანა.

24. საქართველოს საოკუპაციო ჯარების გაყვანამდე პარლამენტმა აკრძალოს და კოლაბორაციონიზმად გამოაცხადოს რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების დადება! ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნას, უნდა ოფიციალურად კვალიფიცირდეს როგორც ისტორიულად დამღუპველი გეორგიევსკის ტრაქტატის განმეორება.

25. დაუყოვნებლივ დაიწყოს მყარი ნიადაგისა და საფუძვლების შემზადება საქართველოს და აშშ-ს შორის გრძელვადიანი სამხედრო-პოლიტიკური სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისათვის.

## პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

# ბათუმში

ჩამოასვენეს ბათუმში ბიჭი,
საქართველოსთვის მებრძოლი ვაჟი,
და კიდევ ერთი გენი და ნიჭი
უკვდავებისთვის აფრინდა ცაში.
აჭარა იბრძვის თბილისის მსგავსად,
აჭარა იკლებს ლუკმას და ზარის,
და არ მინახავს მე სხვაგან არსად
ვით აჭარაში იმედი ხვალის.

ჯემალ ჩახავა

## მამუკა წიკლაური



მამუკა წიკლაური (ვეფხია) 1968 წლის 9 ნოემბერს, ქ. მცხეთაში დაიბადა. მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ლამაზად, ვაჟკაცური ცხოვრებით გაატარა. სახალხო ფრონტის ერთგული წევრი იყო მისი დაარსების დღიდანვე. თავდაუზოგავად იბრძოდა ცხინვალთან ომის დაწყებიდანვე და მხარს უჭერდა თანამებრძოლებს.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებულ დაცვაში მსახურობდა. ცხოვრებაში კი მშვიდი ბუნების ახალგაზრდა კაცი იყო.

კიდევ ერთმა უბედურმა შემთხვევამ შეიწირა ქართველი კაცის სიცოცხლე, ძვირფასი მეგობრისა და მამისა. მხოლოდ მისი სუფთა სახელი დარჩებათ ხსოვნად მეგობრებსა და მეუღლეს, შვილებს, ორი წლის გიორგისა და 1 თვის თამთას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი ცეცხლოვან რკალში

ყოველთვის, როგორც კი ერთაშორისი კონფლიქტი გაჩაღდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ბევრნი შეშფოთებულ მზერას რუსეთს მიაპყრობენ და ეს ბუნებრივიცაა: ცეცხლის ალი თუ აქაც გავრცელდება, მართლაც წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი დატრიალდება.

აქამდე როგორღაც ხერხდებოდა რუსეთის სამხრეთით — მოლდოვაში, კავკასიაში, შუა აზიაში გაჩენილი ფეთქებადი კერების ლოკალიზება, მაგრამ ყოველი ახალი „აალება" აღვიძებს ძველს და ბადებს ახალ საშიშროებას. ასეც მოხდა, როცა აფხაზი სეპარატისტებისა და ქართველი გვარდიელების კონფლიქტისას, შავი ზღვისპირა ქალაქ გაგრაში ზარბაზნები ალაპარაკდნენ.

„პრინციპში", — როგორც ამბობენ რუსები, როცა ოფიციალური ვერსიები და სინამდვილე მეტისმეტად შორდებიან ერთმანეთს — ეს (ომი აფხაზეთში-მთარგ.) სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეა და რუსეთის ერთადერთი ინტერესის საგანი ისაა, რომ სამხედრო მოქმედებები კავკასიის ქედს აქეთ არ გავრცელდეს, თავად საქართველოში კი დაცულ იქნან რუსი მოქალაქენი და რუსეთის საკუთრება.

დენთის სუნი სწრაფად იყნოსეს თვითმარქვია „კაზაკებისა" და დაქირავებულთა ბანდებმა, აგრეთვე „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის" მუსულმანმა მებრძოლებმა. იარაღის ნაკლებობას კი, ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, არ განიცდიან — „კალაშნიკოვებით" დაწყებული და ყველაზე სრულყოფილი, კომპიუტერებით აღჭურვილი ტანკებით დამთავრებული.

ყველაფერ ამას მოჰყვა ბრალდებანი საქართველოს ლიდერის შევარდნაძის მხრიდან — მას კი ვერაფრით ვუწოდებთ კლინიკურ რუსოფობს — რომ უამრავი რუსი გენერალი და პოლიტიკოსი ხელს უწყობს აფხაზეთში ომის ცეცხლის გაძლიერებას.

ამის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდნენ ჯერ რუსეთის პარლამენტი, რომელმაც უხეშად გააფრთხილა საქართველო, ხელი აელო აფხაზეთში „ინტერვენციისაგან", შემდეგ — რუსი ნაციონალისტები და კომუნისტი — რევანშისტები, რომლებიც სიხარულით მიესალმებიან ხოლმე ყოველი ახალი კონფლიქტის დაბადებას, და რომლებიც უდიდესი სიძულვილით არიან გამსჭვალულნი ბ-ნი შევარდნაძის, საბჭოთა იმპერიის „გამყიდველი" საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მიმართ. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა თავის მხრივ გააფრთხილა საქართველო, არ ეცადა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ყოფილი სსრკ-ს იარაღის კონფისკაცია.

აფხაზეთში ცხოვრობს 86.000 რუსი, თითქმის იმდენივე, რამდენიც ამბოხებული აფხაზი.

დაბოლოს, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთს უფლება აქვს იხმაროს „ყველა ღონე" რუსების დასაცავად, და რუსეთის ჯარებს უბრძანა უზრუნველყოთ უშიშროება აფხაზეთში გამავალ სარკინიგზო ხაზებზე. ამასთან ორივე მხარეს მოუწოდა სამშვიდობო მოლაპარაკებისაკენ.

ერთი სიტყვით, რუსეთი აღმოჩნდა მოვლენათა ცენტრში, ვერ გაიგებ, „ძმაკაც" — მეზობლის, ჟანდარმის, შუამავლისა თუ მშვიდობის ქომაგის მისიით. რუსეთის გავლენაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არავინ არ მოითხოვა კავკასიიდან მისი ჯარების გაყვანა. ეს კი არა, სომხეთის ოფიციალურმა პირებმა რუსეთის არმიას ამ რეგიონში მთლად „სტაბილურობის ფაქტორი" უწოდეს...

რუსეთის როლი, რასაკვირველია, არაერთგვაროვანია სხვადასხვა კონფლიქტში. მაგრამ არის საერთო, რაც ყოველ ახალ კონფლიქტს კიდევ უფრო დიდი ძალადობის პოტენციურ წყაროდ აქცევს. ესაა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები 25 მილიონი რუსი.

ეს ფაქტორი თავად რუსეთისათვის შეიცავს გარკვეულ საშიშროებას, ვინაიდან პრეზიდენტ ელცინის მოწინააღმდეგეებისათვის „ახლო საზღვარგარეთის" რუსები — ესაა მშვენიერი საშუალება ახალ სახელმწიფოთა საქმეებში ჩასათრევად მოსკოვის პროვოცირებისათვის. სჭელშუბლა კომუნისტებისა და რუსი ნაციონალისტების ლოგიკა მარტივია: მათ იმპერიის აღდგენა სწყურიათ.

ოპოზიციამ აქტიურად გაალვივა კონფლიქტი მოლდოვაში და ერთი ამბავი ასტეხა სხვა რესპუბლიკებიდან ლტოლვილი 400.000 რუსის გამო: რუსების წასვლამ ამ რესპუბლიკებიდან შეიძლება უფრო ფართო ხასიათი მიიღოს იდეალური ერთაშორისი ურთიერთობების დროსაც კი, უბრალოდ, იმის გამო, რომ ის სამუშაოები, რასაც ადრე რუსები ასრულებდნენ, ზედმეტი გახდება ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ელიან, რომ უახლოეს წლებში მხოლოდ შუა აზიას 2 მილიონი რუსი დასტოვებს.

ის რუსები, რომლებიც რესპუბლიკებში დარჩებიან, ასევე უბედურებათა პოტენციურ წყაროს წარმოადგენენ, რადგან მათ არ სურთ შეეგუონ უფროსი ძმის ჩვეული როლის დაკარგვას.

ხოლო თუ როგორი ძნელია ამგვარი შეგუება, ამის ნათელსაყოფად იმ ფაქტის გახსენებაც იკმარებს, რომ უზბეკეთის სახელმწიფო ჰიმნს „კეთილი იყოს შენი მობრძანება რუსო ძმავ" ერქვა.

ზომიერი რუსებიც კი ვერ ფარავენ მრისხანებას, როცა ესტონელები ან ლატვიელები რუსის სალდათებს „ოკუპანტებს" უწოდებენ.

ამგვარი შოვინიზმი ნოყიერ ნიადაგს ჰპოვებს სამხედროთა შორის. მართალია, ელცინმა შესძლო მიემხრო არმიის დიდი ნაწილი, მაგრამ ჯერ კიდევ დასაწესებელი აქვს მასზე მტკიცე პოლიტიკური კონტროლი. მაღალი ჩინის ოფიცრები, რომლებსაც მხარს უჭერს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ცდილობენ აალორძინონ ერთიანი იმპერიული არმია, ეგრეთ წოდებული „მეცამეტე რესპუბლიკა". ბ-ნ შევარდნაძეს არ დაუკონკრეტებია თავისი ბრალდებანი აფხაზეთში მყოფი რუსი გენერლების მისამართით, მაგრამ მრავალი ფაქტით დასტურდება რუსეთის არმიის ჩარევა ამ კონფლიქტში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა უფლება მისცა თავს განეცხადებინა, მზად ვარ დაიცვა საფრთხის ქვეშ მყოფი „რუსულენოვანი" მოსახლეობა სხვა რესპუბლიკებშიო.

არმიის იმპერიული მოქმედებანი — ეს არა მარტო ნოსტალგიაა ან შოვინიზმი. ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან მხოლოდ ბალტიისპირელებმა მოითხოვეს რუსის ჯარის გაყვანა, და მხოლოდ უკრაინამ განაცხადა თავისი უფლებების შესახებ მის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ჯარისკაცის მიმართ. სხვა რესპუბლიკები მზად არიან მხარი დაუჭირონ რუსეთის სამხედრო ყოფნას შინაგანი სტაბილურობისა და სტრატეგიული უშიშროების უზრუნველყოფის მომიზეზებით.

ამ ფონზე ბ-ნმა ელცინმა ჯერჯერობით შესძლო ფართომასშტაბიანი კონფლიქტების თავიდან აცილება უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე... მაგრამ გაივლის წლები, ათეულობით წლებიც კი, ვიდრე ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიებზე სტაბილურობა დამყარდება...

სერგეი შმემანი

გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი", ნოემბერი, 10—23, 1992 წ.

თარგმნა
ფ. კოჟიაშვილმა

# ინფორმაცია

საქართველოს სახალხო ფრონტთან შეიქმნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ სამართლებრივ ტრადიციებზე დაყრდნობით და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი აზროვნების და გამოცდილების გათვალისწინებით, თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ასოციაციას განზრახული აქვს შეიმუშავოს ალტერნატიული კანონპროექტები და გაუზიაროს ფართო საზოგადოებას თავისი შეხედულებები ეროვნული სამართალშემოქმედების ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე.

4 დეკემბერს შესდგა ასოციაციის დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც მიიღო წესდება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზ. ადეიშვილი. საკოორდინაციო საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: გ. გოგიაშვილი, გ. კახეთელიძე, ა. კონტრიძე, ვ. ხიდაშელი.

## კოოპერატივებისა და გამომცემლობების საყურადღებოდ

საგამომცემლო ფირმა „იავნანა" მომსახურებას სთავაზობს სარედაქციო — საგამომცემლო კოოპერატივებს, ფირმებსა და გამომცემლობებს, აგრეთვე მწერლებს და სამეცნიერო-სასწავლო პოპულარული ნაშრომების ავტორებს, მათ მიერ გამოცემული წიგნების, ან გამოსაცემი წიგნებისა და ტომეულების აბონემენტების გაყიდვაში.

ამჟამად აქ წიგნის მოყვარულებს შეუძლიათ შეიძინონ ლევან სანიკიძის მრავალტომეულის I და II ტომები, მიხაილ ბულგაკოვის რომანი „ოსტატი და მარგარიტა", ნოდარ გრიგალაშვილის „ნიკო ლორთქიფანიძე", რომელიც გამიზნულია სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების შემოქმედების შესასწავლად და აბიტურიენტთა დახმარებლად. აგრეთვე აკაკი თოფურიას ნაშრომი, „ლენინიდან გორბაჩოვამდე" და ალექსანდრე ხიგუას „მკვლელობა ბერიას კაბინეტში".

ანაზღაურება შეთანხმებისამებრ.

ფირმა მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

**ჩვენი მისამართია:** თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი № 112, ტელ. 34—73—54.

საგამომცემლო ფირმა „იავნანა"

ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი